პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—39.

ხელის მოწერის ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. ყოველთვ. ხელ. 1 თვ. 90 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის 1 მან. განცხადებები 20 კ. [illegible] ნომპარელის სტრიქონი. [illegible] განცხადებები 5 მან. [illegible] განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ 2 [illegible]

დ ღ ი უ რ ი

— გაიხსნა ბელორუსიის საბჭოთა ყრილობა.
— რუსეთში საქონელზე ფასების დაკლება გრძელდება.
— ამხ. ჩიჩერინმა მემელის საკითხის გამო ლიტვის ელჩს ნოტა გაუგზავნა.
— პოლონეთში სდევნიან ბელორუსებს.
— საფრანგეთში ფრანკის კურსის დაცემის გამო კრიტიკული მდგომარეობა შექმნა.
— ოდესაში გაიმართა ბესარაბიის შესახებ დიდი დემონსტრაცია. დემონსტრანტები მოითხოვენ ბესარაბიის საბჭოთა კავშირთან შეერთებას და მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას.

60 (915) პარასკევი, 14 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. ჩერვონცებით. № 60 (915)

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 14 მარტს
ერთიან პარტიულ დღეს
საკითხები თვით წამოაყენონ იაჩეიკებმა.
ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

ხალხის მტრებს და მოღალატეებს იცავენ მხოლოდ ხალხის მტრები და მოღალატეები

საქართველოს სამღვდელოების მეთაურებმა სახელმწიფოებრივი ღალატი ჩაიდინეს.

უცხოელ სახელმწიფოებს მიმართეს და უსისინებდენ მათ საქართველოს მუშებისა და გლეხების მთავრობას.

მათვე გაიტაცეს ხალხის ქონება და მიმალეს.

ორივე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სახელმწიფოებრივ დანაშაულობასთან. და როდესაც ამ ვაჟბატონებს ხელი დაადვეს, წაუყენეს ბრალდება—ცხადია, ეს მათ არ „ეჭაშნიკათ“ და ყოველ საშუალებას ხმარობენ დღეს, რათა თავი გაისაღონ უცოდველ, მშვიდ მტრედებათ.

ტყუილით, ორპირობით, კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაუცემლობით, ხშირად სრულიად გაჩუმებით, მათ სურთ ნათელი აზრი, გარკვეული მდგომარეობა არიონ და ამნაირად ფონს გავიდნენ.

ამ „წმინდა“ მისწრაფებაში მათ მიეშველნენ... ვინ?

რასაკვირველია, მათივე მსგავსი მტრები და მოღალატეები ჩვენი ხალხის, გაიძვერა „პოლიტიკანები“, პოლიტიკურ სინიდისზე ხელაღებული აბლაკატები მენშევიკებიდან და ფედერალისტებიდან ე. ი. იმ ჯგუფებიდან, რომლებმაც კონტრ-რევოლიუციონერობა, რეაქციონური ჩხირ-კედლაობა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა გაიხადეს თავიანთ პროფესიათ.

სწორედ ეს „გმირები“ „თავისუფალი პროფესიისა“ გამოდიან დღეს ნაძალადევში კლერიკალური კონტრ-რევოლიუციის გმირების საშველათ და დასახსნელათ.

საქართველოს და კერძოთ ტფილისის მშრომელმა ხალხმა უნდა იცოდეს ეს. მან უნდა იცოდეს ვის ასამართლებენ და ვინ ცდილობს უშველოს დამნაშავეებს. და ეს იცის კიდევაც მან.

ტყუილათ სცდილობენ ამიტომ ანაფორიანი და უანაფორო ვაჟბატონები, სისხლის სამართლისა და სახელმწიფოებრივი ღალატის დამნაშავენი, ყველა ეს „კრისტესი“ და რეაქციის მსახურნი: ამბროსები, ნინიძეები და მათი ამხანაგები, რომ ისინი მოახერხებენ დაუმალონ ხალხს ის, რაც მათ ჩაიდინეს, რაშიც მათ ბრალსა სდებენ და ამხილებენ.

ტყუილათ სცდილობენ დამცველთა კოლეგია და პირადათ ბატონი ნინიძე ჩააჩუმონ პრესა, არ ათქმევინონ მას ის, რაც სათქმელია.

ბატონმა ნინიძეებმა ამეტყველეს თავის დროზე ამბროსი, მათ უჩვენეს მას გენუის მისამართი. კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. დღეს სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის, ეკუთვნის საქართველოს მშრომელ ხალხს და ისიც თავის წარმომადგენლების პირით იტყვის ამ სიტყვას.

„სოციალისტები“ „უწმინდესი კონტრ-რევოლიუციის“ დამცველთა როლში

(უოფ. „დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატის“ ხმა)

რამოდენიმე დღე არის მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაიწყო გასამართლება კათალიკოს ამბროსის მისი ახლობელ თანამშრომლებთან ერთად, რომელთაც მიუძღვით დიდი დანაშაული ქართველი მშრომელი მასების წინაშე.

თუ რამ გამოიწვია ამ „უწმინდეს კონტრ-რევოლიუციის“ გასამართლება,—ეს დღეს ყველასათვის ცხადია.

ვინ არ იცის ის ფაქტი, რომ კათალიკოს ამბროსიმ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მას შემდეგ, რაც დაემხო ძველი მენშევიკურ „დემოკრატიული“ რეჟიმი და დამყარდა მუშურ-გლეხური ხელისუფლება, გაგზავნა გენუას კონფერენციაზე მემორანდუმი, სადაც ის აუწყებდა ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, რომ მათ დაუყოვნებლივ მოეთხოვათ საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის „საოკუპაციო“ არმიის გაყვანა, რომელიც „ანადგურებდა ქართველი ხალხის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებას“ და მოეთხოვათ „საქართველოს მიწა-წყლის უზრუნველყოფა უცხოელების თარეშისაგან“.

ვინ არ იცის ის ფაქტი, რომ კათალიკოს ლეონიდეს და ამბროსის მეთაურობით სამღვდელოებამ დამალა, მიწაში ჩაფლა საეკლესიო განძეულობა, ეს ხალხის სიმდიდრე და კუთვნილება, და მით ჩაიდინა საშინელი ავაზაკობა, ქურდ-ბაცაცობა საქართველოს მშრომელი ხალხის წინაშე.

ეს და სხვა მრავალი ყველასათვის ცხადია და ამიტომაც არის, რომ დღეს საქართველოს მუშათა კლასი კიდევაც ასამართლებს იმ კონტრ-რევოლიუციონურ სამღვდელოებას, რომელიც დღემდე, საქართველოს გასაბჭოებამდე, უსაზღვროდ ძარცვავდა და ყვლეფავდა მუშებს და გლეხებს.

ბრალდებულის სკამზედ სხედან სამღვდელოების სწორედ ის მეთაურნი, რომელნიც თავიანთ თავს აცხადებდნენ ყოველგვარ პოლიტიკის გარეშე, მხოლოდ გენუას ავაზაკ-იმპერიალისტების კონფერენციაზედ კი აგზავნიდენ პოლიტიკური შინაარსის მემორანდუმს, რომ მათ „ეხსნათ“ საქართველო და სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობა დაებრუნებიათ იმ მენშევიკებისათვის, რომელთა სამი წლის ბატონობის დროს თვით სამღვდელოება კარგად და თავისუფლად გრძნობდა თავს.

მაგრამ, ამჟამად, ამ კონტრ-რევოლიუციის გასამართლების დროს საყურადღებო არის სწორედ ის გარემოება, რომ კათალიკოს ამბროსის დამცველთა სახით თავს დასტრიალებენ ის „სოციალისტები“ და ის ცნობილი „მოღვაწენი“ მოქ. ნინიძეს მეთაურობით, რომელნიც სასტიკი მტრები არიან საბჭოთა ხელისუფლების და რომელნიც ვერ ინელებენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს.

ისინი იცავენ „მღაბალ ამბროსის—პატრიარქს სრულიად საქართველოისას“ და მიზნად ისახავენ გაათეთრონ ის იმ დანაშაულობისაგან, რომელიც ჩაიდინა კათალიკოს ამბროსიმ და მისმა ახლობელ თანამშრომელთა ამალამ საქართველოს ხალხის წინაშე.

მოქ. ნინიძე და მისი კომპანია იმდენად გადაგვარდენ, იმდენად გაიხრწნენ მორალურ-პოლიტიკურად, რომ დღეს მზად არიან აშკარად დაიცვან საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში სამღვდელოებაც.

მათ, რომელთაც არა ნაკლები, არამედ, პირიქით, გაცილებით უფრო მეტი დანაშაული მიუძღვით საქართველოს მუშათა კლასის წინაშე, დღეს კათალიკოს ამბროსისთან ერთად უნდა ისხდნენ საბრალდებულო სკამზე და ხდებოდს მათი ყველასი ერთათ გასამართლება.

ბანდიტური ინტერპარტიული საბჭო, რომელსაც ჰქონდა უშუალო კავშირი ჩოლოყაშვილის ბრბოებთან და ამძარცველ სამღვდელოებასთან და რომელიც სავსებით ამართლებდა იმპერიალისტური ინტერვენციის და შეიარაღებული ბანდების ტაქტიკას მმართველ ხელისუფლების წინააღმდეგ,—საუცხოვო არგუმენტაციაა იმისათვის, რომ თვით ნინიძე და მისი კომპანია, რომლებმაც შეითვისეს საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში ასეთი ავანტიურისტული მეთოდები, ღირსნი იყვნენ ბრალდებულთა სკამზედ დასმისა და კათოლიკოს ამბროსისთან ერთად დასჯის.

მე კარგად მახსოვს ის მომენტი, როდესაც ვიყავი საქ. დამოუკიდებელი სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი, თუ როგორ იყო დასმული საკითხი პარტიულ კომიტეტში სამღვდელოებასთან დამოკიდებულების შესახებ.

როდესაც ტარდებოდა ანტი-რელიგიური კამპანია, სარწმუნოებას გამოუცხადეს მეცნიერული ბრძოლა, მრავალი ეკლესიები მიჰკეტეს და მრავალი კი გადააქციეს კლუბ-ბიბლიოთეკებად,—ვერ წარმოიდგენთ, თუ როგორ რისხვათ დაატყდა ეს ინტერპარტიულ ცენტრს.

ინტერპარტიული ცენტრი, ესე იგი მასში შემავალი ყველა პოლიტიკური პარტიები, „ეროვნული ინტერესების“ თვალსაზრისით, ვალდებულად რაცხდენ თავიანთ-თავს ეწარმოებიათ სამღვდელოებასთან ერთად არალეგალური ბრძოლა იმ ანტი-რელიგიურ კამპანიის წინააღმდეგ, რომელსაც ხსნიდენ ერის ღალატათ, გამცემლობათ და, წარმოიდგინეთ, მეცნიერული სოციალიზმის გადამახინჯებათაც კი.

ინტერპარტიულ ცენტრს რომ უშუალო კავშირი ჰქონდა არამც თუ სამხედრო ცენტრთან, სადაც თავმოყრილნი იყვნენ ჩოლოყაშვილ-ბანდიტის კონტრ-რევოლიუციონური ღენერლები, არამედ თვით სამღვდელოებასთან—ეს დღეს ყველასათვის უდავო ჭეშმარიტება უნდა იყვეს.

ინტერპარტიული ცენტრი რომ გარდაიქცა ბანდიტურ-კლერიკალურ ცენტრად, ამას [illegible] მტკიცება არ სჭირია.

ჯერ თვით კათალიკოს ამბროსის „ისტორიული დოკუმენტი“, რომელიც მან წარგზავნა გენუაში იმპერიალისტების კონფერენციაზედ, საქართველოს საზღვრებიდან „უცხო“ ჯარის გაყვანის შესახებ,—წარმოადგენდა მთელ პოლიტიკურ პროგრამას ინტერპარტიულ ცენტრისას საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში.

მე ვიტყვი უფრო მეტს, კათალიკოს ამბროსის „ისტორიული დოკუმენტი“ რომ ინტერპარტიული ცენტრის ინსტრუქციით და სანქციით იყო წარგზავნილი, ესეც უდავო ჭეშმარიტებაა.

თვით ჩხენკელის შუამდგომლობა გენუას კონფერენციაზედ ამის საუცხოვო დამადასტურებელია.

და აი დღეს, როდესაც ნინიძე, ბარათაშვილი, დადიანი და კომპანია, რომელნიც ახდენენ აშკარა დემონსტრაციას კათალიკოს ამბროსის და მისი „ძმების“ სასარგებლოთ და მიზნად ისახავენ გაამართლონ მათ მიერვე წარმოებული ბნელი საქმეები საბჭოთა სისტემის საწინააღმდეგო ბრძოლაში,—ყოველივე ეს ერთხელ კიდევ აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ ინტერპარტიული ცენტრი უშუალო კავშირში იმყოფებოდა კლერიკალურ სამღვდელოებასთან, რომ ისინი გაერთიანებულ-შეკავშირებულ სახით ამართლებდენ და ამართლებენ საინტერვენციო პოლიტიკას საქართველოს საქმეებში და ამდენადვე წარმოადგენენ მოსყიდულ აგენტებს იმპერიალისტური კაპიტალისას.

და აი, ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლებამ და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უნდა გაასამართლოს არა მარტო „უწმინდესი კონტრ-რევოლიუცია“ კათალიკოს ამბროსის და მის უშუალო თანამშრომლების სახით, არამედ მან საბრალდებულო სკამზედ უნდა დასვას ნინიძე და მისი კომპანიაც არალეგალურ ინტერპარტიულ საბჭოს სულის ჩამდგმელ ხომერიკ-[illegible] ერთად, რომლებმაც გაიტაცეს ქართველი ხალხის ქონება საზღვარგარეთ და რომელთა მეთაურობით და ინიციატივით კეთდებოდა საქართველოში ასეთი კონტრ-რევოლიუციის საქმეები.

მხოლოდ თვით ის ფაქტი, რომ ნინიძე და კომპანია გამოდიან ამბროსის და მის „ძმების“ დამცველთა როლში, კიდევ ერთი დიდი საბუთია იმის საარგუმენტაციოთ, რომ მენშევიკები, მათი ნაშიერები: დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატები და ფედერალისტები გარდაიქცნენ ნაძირალების და ბანდიტების ხროვად.

შ. ანდღულაძე.

საფინანსო კითხვები

(დასასრული)

13. ადგილობრივ ბიუჯეტის შესრულება

ბიუჯეტის შესრულების საკითხი სავალდებულო გეგმის სწორად შესრულების საკითხია. ინსტრუქცია გვეუბნება: „საკანონმდებლო ორგანოების მიერ დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტი არის მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტისათვის მუშაობის სავალდებულო გეგმა, რომლითაც სისწორით უნდა იხელმძღვანელოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ იგი ფაქტიურად და სავსებით იქნეს გატარებული ცხოვრებაში“.

ბიუჯეტის შესრულებაში ორი ძირითადი მომენტია: პირველი—სისწორით კრედიტების გახსნა და მეორე—შემოსავლის წყაროების სათანადოთ ამოწურვა.

კრედიტების გახსნა და შემოსავლის აკრება მხოლოდ დამტკიცებულ ბიუჯეტის საფუძველზე და ფარგლებში შეიძლება. „არც ერთი ხარჯი არ შეიძლება გაწეულ იქნეს, თუ ის ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული“; არც ერთი გადასახადი არ შეიძლება აკრეფილ იქნეს, თუ ის შეტანილი არაა ანდა შემდეგ საბიუჯეტო საფუძველზე კანონიერად არაა დამტკიცებული.

კრედიტის გახსნა. თანახმად „დროებითი დებულების“ 143 მუხლისა დამტკიცებულ ბიუჯეტების საფუძველზე რაიონის და შტატ-გარეშე მყოფ ქალაქს ბიუჯეტი სისრულეში თავის აღმასკომის განკარგულებით მოჰყავს.

სამაზრო ფინგანყოფილება აღმასკომის განკარგულებით თანახმად დამტკიცებულ ბიუჯეტისა გათვალისწინებულ ხარჯების დასაფარავად სხვა და სხვა განყოფილებებს უხსნის კრედიტს (მუხ. 144). აღმასკომის სათანადო განყოფილების ასიგნობით ეს კრედიტი თავის დანიშნულებისამებრ იხარჯება და ამ დანიშნულების შეცვლის უფლება არც ერთს განყოფილებას არა აქვს (მუხ. 145). მაზრებში კრედიტების გადატანა ერთი მუხლიდან მეორე მუხლში მხოლოდ ერთი და იმავე პარაგრაფის ფარგლებში შეიძლება და ისიც უსათუოდ რწმუნებულის ნებართვით. სამაზრო აღმასკომებს შეუძლიათ ამა თუ იმ განყოფილებას, რაიონს და არა სამაზრო ქალაქს კრედიტის გადატანის ნება მისცეს არა ერთი მუხლიდან მეორე მუხლში (იმავე პარაგრაფის), არამედ მხოლოდ შიგ მუხლის ფარგლებში ერთი ლიტერიდან მეორე ლიტერში (მუხ. 146).

როდესაც ნაღდი ფული განსაზღვრულ პერიოდში გათვალისწინებულ ხარჯების დასაფარავად არაა საკმარისი, აღმასკომი სამფინანსოს წარდგენით სხვადასხვა ხარჯების დასაფარავად შემოსავალს ანაწილებს და აწესებს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების რიგს (მუხ. 147).

როდესაც საბიუჯეტო პერიოდი გავა, მოუხმარებელი კრედიტების ხარჯვა უნდა შეწყდეს და კრედიტები დაიხურება (მუხ. 148).

ასეთია კრედიტების ვითარება, მათი ფულებრივი მხარე, რომლის მტკიცედ დაცვას საფინანსო მეურნეობა და საბიუჯეტო უფლება კატეგორიულად მოითხოვს. ადგილობრივ ბიუჯეტის შესრულების ხანაში კრედიტების წესების დაცვას რწმუნებული ადგილობრივ ფინანსთა განყოფილების საშუალებით თვალს ადევნებს და ყოველ საჭირო შემთხვევაში შესაფერ ზომებს იღებს.

ანგარიშები: თვალ-ყურის დევნება ცენტრიდან ნაყოფს მაშინ მოიტანს, თუ ადგილობრივ ორგანოების ანგარიშწარმოების მასალა ცენტრს თავის დროზე ხელთ ექნება. ამიტომ „დროებითი დებულების“ 151 მუხლი მოითხოვს, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ საფინანსო უწყებას მის მიერ დაწესებულ ვადაში ადგილებიდან თვიური ანგარიშები წარედგინოს, რომელშიაც თვიური შემოსავალი და ხარჯები მიღებულ წესისამებრ იქნება აღნიშნული.

მაგრამ **საბიუჯეტო წლის შესრულების შემდეგ**, როდესაც თანახმად „დროებითი დებულების“ 148 მუხლისა კრედიტები დაიხურება, სამფინანსო რწმუნებულის მიერ დანიშნულ ვადაში უკანასკნელს უდგენს რაიონის, არასამაზრო და სამაზრო ქალაქის და მაზრის ბიუჯეტების ანგარიშებს მიღებულ ფორმით და შემდეგი ცნობების დართვით: ა) დაუფარავი ხარჯებისა, ბ) ნაშთებისა და ვალებისა, რომელთა შესახებ უნდა იყოს ნაჩვენები, თუ რამდენია მათში საიმედო და არასაიმედო, გ) თუ რამდენია მომავალი ბიუჯეტის ანგარიშში დახარჯული და დ) თუ რამდენია შემოსული მომავალი ბიუჯეტის ანგარიშში (მუხ. 152 და 153). ეს ანგარიშები წინასწარ უნდა იქნეს დამტკიცებული: მაზრის და სამაზრო ქალაქის ანგარიშები—საბჭოთა სამაზრო ყრილობის ან აღმასკომის პლენუმის მიერ, რაიონის და არასამაზრო ქალაქების—სამაზრო აღმასკომის მიერ (მუხ. 154).

თვიური ანგარიშები გვაძლევს საშუალებას თვალი ვადევნოთ იმას, თუ როგორი სისწორით ხორციელდება ბიუჯეტის გეგმა.

ასეთია ბიუჯეტის შესრულების წესი და მნიშვნელობა.

ჩვენ განვიხილეთ მოკლეთ სამაზრო საფინანსო აპარატების მოწყობის საკითხი და მათი მოვალეობანი; განვიხილეთ კიდევ უფრო მოკლეთ ადგილობრივ ბიუჯეტის საფუძველი, მისი შედგენის, განხილვის, დამტკიცების და შესრულების წესები. ყველა ამ საკითხებს ჩვენ მხოლოდ დღევანდელ მოქმედ დებულების და ინსტრუქციების მოთხოვნილებათა თვალსაზრისით შევეხეთ.

მაგრამ ბიუჯეტის საკითხები უფრო რთულია, და ჩვენს ლიტერატურაში ის ჯერ სრულებით არაა გაშუქებული. ეს ნაკლი უნდა შეივსოს. ჩვენ იმედი გვაქვს მოკლე ხანში საბიუჯეტო უფლების შესახებ მკითხველს მივაწოდოთ მცირე შრომა, რომელიც პრაქტიკულ მოღვაწეებს ცოტათი მაინც საბიუჯეტო ასპარეზზე მუშაობას გაუადვილებს.

დ. თ.

კარლ მარქსის გარდაცვალების ორმოცდაერთი წლის თავზე

1883 — 14 მარტი — 1924

მ ა რ ქ ს ი ზ მ ი

მარქსმა განაგრძო და გენიალურათ დაასრულა მე-19 საუკუნის სამი მთავარი იდეიური მიმდინარეობა, რომლებიც ეკუთვნოდა კაცობრიობის ყველაზე მოწინავე ქვეყნებს: გერმანული კლასიკური ფილოსოფია, კლასიკური ინგლისური პოლიტიკური ეკონომია და ფრანგული სოციალიზმი. მარქსის მოწინააღმდეგეთა მიერაც ცნობილი მისი შეხედულებათა შესამჩნევი მთლიანობა და თანამიმდევრობა გვაიძულებს მარქსიზმის მთავარ შინაარსის—მარქსის ეკონომიურ მოძღვრების გადმოცემას წაუმძღვაროთ მისი ზოგადი მსოფლმხედველობის მოკლე მიმოხილვა.

ფილოსოფიური მატერიალიზმი.

1844—45 წლებიდან დაწყებული, როდესაც ჩამოყალიბდა მარქსის შეხედულებები, ის იყო მატერიალისტი და, კერძოთ, მიმდევარი ლიუდვიგ ფეიერბახისა, რომლის სუსტ მხარეებს შემდეგშიაც ის ამჩნევდა მხოლოდ ფეიერბახის მატერიალიზმში აზრთა თანამიმდევრობისა და ყოველმხრივობის ნაკლებობას. ფეიერბახის მსოფლიო-ისტორიულ და „ეპოქის შემქმნელ“ მნიშვნელობას მარქსი ხედავდა ჰეგელის იდეალიზმისაგან სრულ გამოთიშვაში და მატერიალიზმის აღიარებაში, რომელიც ჯერ კიდევ „მე-18 საუკუნეში, განსაკუთრებით საფრანგეთში, ყოველგვარ მეტაფიზიკის წინააღმდეგ ბრძოლას წარმოადგენდა (იხ. „წმიდა ოჯახი“ და „ლიტერატურული მემკვიდრეობა“). „ჰეგელისათვის,—სწერდა მარქსი,—აზროვნების პროცესი, რომელიც მან იდეის სახელით დამოუკიდებელ სუბიექტათ გადააქცია, არის სინამდვილის დემიურგი (შემომქმედი, გამჩენი)... ჩემის აზრით კი, პირიქით, იდეალური სხვა არაფერია გარდა ადამიანის თავში გადანერგილ და იქ გარდაქმნილ მატერიალურისა“ („კაპიტალი“ 1, მეორე გამოცემის წინასიტყვაობა)

მარქსის ამ მატერიალისტურ ფილოსოფიის თანახმად, მოგვითხრობს რა ამას ფ. ენგელსი „ანტი-დიურინგ“-ში, სწერდა: „მსოფლიოს ერთიანობა მის ყოფაში კი არ მდგომარეობს, არამედ მის მატერიალობაში, რასაც ამტკიცებს... ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების ძნელი და ხანგრძლივი განვითარება... მოძრაობა მატერიის ყოფის ფორმაა. არსად და არას დროს არ ყოფილა და არც შეიძლება იქნეს მატერია უმოძრაოთ და მოძრაობა უმატერიოთ. თუ დავსვამთ კითხვას, რა არის აზროვნება და შემეცნება, საიდან წარმოიშობიან ისინი, ჩვენ დავინახავთ, რომ ისინი—ადამიანის ტვინის ნაყოფია და რომ თვით ადამიანი—ბუნების ნაყოფია, რომელიც ბუნების განსაზღვრულ გარემოში და უკანასკნელთან ერთად განვითარდა. ამის გამო, თავის თავად ცხადია, რომ ადამიანის ტვინის ნაყოფი, რომელიც ბოლოს და ბოლოს ბუნების ასეთივე ნაყოფია, არ შეიძლება ბუნების დანარჩენ კავშირს ეწინააღმდეგებოდეს, პირიქით, ის სავსებით შეეფერება უკანასკნელს“. „ჰეგელი იდეალისტი იყო, ე. ი. მისთვის ჩვენი გონების აზრები, ბევრათ თუ ნაკლებათ, აბსტრაქტულ სინამდვილის საგანთა და პროცესების ანარეკლი კი არ იყო, არამედ, წინააღმდეგ, საგნები და მათი განვითარება ჰეგელისათვის მსოფლიოს გაჩენამდე სადღაც არსებულ, რაღაც იდეის ანარეკლი იყო“. თავის თხზულებაში „ლიუდვიგ ფეიერბახი“, რომელშიაც ფრ. ენგელსი ფეიერბახის ფილოსოფიაზე თავისსა და მარქსის შეხედულებებს გადმოგვცემს და რომელიც ენგელსმა დასასტამბავათ თავისი და მარქსის 1844—45 წლების ფეიერბახზე და ისტორიის მატერიალისტურ გაგებაზე ძველი ხელთნაწერის წინასწარ გადაკითხვის შემდეგ გაგზავნა, ენგელსი სწერს: „ყოველ ფილოსოფოსის და განსაკუთრებით, უახლეს ფილოსოფიის უდიდეს და ძირითად საკითხს წარმოადგენს საკითხი აზროვნებისა და ყოფის, სულისა და ბუნების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ... რომელი რას უძღვის წინ: სული ბუნებას, თუ ბუნება სულს. იმის და მიხედვით, თუ როგორია პასუხი, ამ კითხვაზე ფილოსოფოსები ორ დიდ ბანაკათ გაიყვენ. იმათ, რომლებიც აღიარებდნენ, რომ სული ბუნებაზე ადრე არსებობდა, და რომელნიც, მაშასადამე, ასე თუ ისე მსოფლიოს შექმნას სცნობენ... იდეალისტური ბანაკი შეადგინეს. ისინი კი, რომლებიც ძირითად დასაწყისათ ბუნებას სთვლიდნენ, მატერიალიზმის სხვადასხვა სკოლებს მიემხრნენ“. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარქსის შეხედულება თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთ დამოკიდებულებაზე: „აუცილებლობა ბრმაა, სანამ ის შეგნებული არ არის. თავისუფლება აუცილებლობის შეგნებაა“ (ენგელსი „ანტი-დიურინგი“),—ბუნების ობიექტიურ კანონ-ზომიერების და აუცილებლობის თავისუფლებათ დიალექტიურ გარდაქმნის აღიარება. (როგორც შეუცნობელ, მაგრამ შესაცნობ „საგანი თავის თავად“ „საგანში ჩვენთვის“ ანუ „საგანთა არსის“—მოვლენებში გარდაქცევა). „ძველ“, მატერიალიზმის და მათ რიცხვში ფეიერბახის (და მით უფრო ბიუხნერ-ფოხტისა და მოლეშოტის) მატერიალიზმის ძირითად ნაკლულევანებათ მარქსი და ენგელსი სთვლიდნენ: 1) იმას, რომ ეს მატერიალიზმი „უმთავრესათ მექანიკური“ იყო და ანგარიშს არ უწევდა ქიმიისა და ბიოლოგიის უახლესს განვითარებას; 2) იმას, რომ ძველი მატერიალიზმი არა ისტორიული, არა დიალექტური (მეტაფიზიკური) ანტი დიალექტიკის მგზავსი იყო არ ატარებდა ყოველმხრივათ და თანამიმდევრათ განვითარების თვალსაზრისს; 3) „ადამიანის არსი“ მას ესმოდა განყენებულათ, და არა როგორც „ყველა საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა“ (კონკრეტულ-ისტორიულათ განსაზღვრულ დამოკიდებულებათა) „ერთიანობა“, ამიტომ ის მხოლოთ „მმარტავდა“ მსოფლიოს მაშინ, როდესაც საქმე მის „შეცვლაში“ მდგომარეობდა ე. ი. მას არ ესმოდა პრაქტიკულ მოქმედების გარდამქმნელი მნიშვნელობა.

დიალექტიკა

ჰეგელის დიალექტიკაში მარქსი და ენგელსი ხედავდნენ განვითარების ყოველ მხრივ მდიდარ შინაარსიანს მოძღვრებას და მას გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიის უდიდეს მონაპოვრათ აღიარებდნენ. განვითარებას ევოლიუციის ყოველგვარ სხვა ფორმულიროვკას, ისინი ცალმხრივათ, ღარიბ შინაარსიანათ და ბუნებისა და საზოგადოების განვითარების (ხშირათ—ნახტომებით, კატასტროფებით, რევოლიუციებით) მსვლელობის დამახინჯებათ სთვლიდნენ: „მე და მარქსი თითქმის ერთათ ერთნი ვიყავით, რომლებმაც მიზნათ დავისახეთ შეგნებულ დიალექტიკის (იდეალიზმის და კერძოთ, ჰეგელიანიზმის დარბევისაგან) გადარჩენა და ბუნების მატერიალისტურ გაგებაში გადატანა“. დიალექტიკას ბუნება ადასტურებს და სწორეთ უახლოესი ბუნებისმეტყველება ამტკიცებს, რომ ეს დასტური არაჩვეულებრივათ მდიდარია, ყოველდღიურათ დიდ მასალის დამგროვებელი დ დამამტკიცებელი იმისა, რომ საქმის ვითარება ბუნებაში საბოლოოთ დიალექტიკურია და არა მეტაფიზიკური“ (ენგელსი). „დიადი ძირითადი აზრი,—სწერს ენგელსი,—რომ მსოფლიო წინასწარ დამზადებულ და დამთავრებულ საგნებიდან კი არ შესდგება, არამედ ის წარმოადგენს პროცესების კრებულს, რომლებშიაც თითქოს უცვლელი საგნები, როგორც აგრეთვე, გონების მიერ მათი აზროვნებითი ანარეკლი, ცნებები, მუდმივ ცვალებადობაში იმყოფებიან, ხან ჩნდებიან და ხან ჰქრებიან,—ეს უდიდესი ძირითადი აზრი ჰეგელის დროიდან ისე დამკვიდრდა საერთო შეგნებაში, რომ ეხლა იშვიათად თუ ვინმე უარყოფს მას მის ზოგადი სახით. მაგრამ ერთია—სიტყვით მისი ცნობა და სხვა არის ყოველ ცალკე შემთხვევაში და კვლევა ძიების ყოველ კერძო დარგში მისი გამოყენება“. „დიალექტიკის ფილოსოფიისათვის არ არსებობს რაიმე საუკუნოთ განმტკიცებული, განუსაზღვრელი, წმინდა. ყველგან და ყველაფერში ის აუცილებელ [illegible] ნიშანს ხედავს და ვერარა გაუძლებს მას, გარდა აღმოცენებისა და გაქრობის, დაბალ საფეხურებიდან მაღალზე დაუსრულებელ მოძრაობის შეუჩერებელ პროგრესისა. ის თვითონ მოაზროვნე ტვინში, ამ პროცესის უბრალო ანარეკლია“.

ამგვარათ, მარქსის აზრით, დიალექტიკა არის „მეცნიერება როგორც გარეშე მსოფლიოში, ისე ადამიანის აზროვნებაში მოძრაობის ზოგად კანონებზე“.

ჰეგელის ფილოსოფიის ეს რევოლიუციონური მხარე მარქსმა შეითვისა და განავითარა. დიალექტიკური მატერიალიზმი არ საჭიროებს „სხვა მეცნიერებაზე მაღლა მდგომ რაიმე ფილოსოფიას“. დიალექტიკა კი, მარქსის გაგებით და, აგრეთვე, ჰეგელის თანახმად, შეიცავს იმას, რასაც ამჟამათ გნოსეოლოგიას, შემეცნების თეორიას უწოდებენ, და რომელიც თავის საგანს აგრეთვე ისტორიულათ, შემეცნების აღმოცენებისა და განვითარების შეუცნებლობიდან შემეცნებაზე გადასვლის გაერთიანებით და შესწავლით უნდა იხილავდეს.

ნ. ლენინი.

(დასასრული იქნება)



კარლ მარქსი

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

ფულის რეფორმის გარშემო

დღემდი გამოშვებულია 8 მილიონი მანეთი ვერცხლით და 40 მილიონი მანეთი სახაზინო ნიშნებით.
25 აპრილიდან დაიწყება საბჭოთა ფულის ნიშნების გადაცვლა მტკიცე ვალიუტაზე.
დაიწყო ფასების დაკლება თევზეულობაზე.
ლენინგრადის საფეიქრო სინდიკატმა 18 პროცენტით დაუკლო ფასებს მანუფაქტურაზე.
იაფდება გლეხებისთვის საჭირო საგნები.

შრომის ხელფასი ოქროთი

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება ადგილობრივ პროდუქტთა ღირებულების განსაზღვრის შესახებ

მოსკოვი. 12 მარტი. დამატებით 1924 წ. 29 თებერვლის დადგენილებისა, შრომის ხელფასის ოქროს ვალიუტაზე გადაყვანის შესახებ, საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭო ადგენს:

1) საბიუჯეტო შენაწყობის საგნების შემადგენლობა და ერთი საგნების მეორეთი შეცვლის წესი დაწესებული უნდა იქნეს თვითეული რაიონის ადგილობრივი პირობების აღრიცხვით, ამა თუ იმ რაიონის მუშების ფაქტიურ მოხმარებასთან შეფარდებით.

2) ხელმძღვანელობას ფასების შეგროვებაზე და მათ სისწორით აღრიცხვას განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ. საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, კომისიის შემადგენლობაში შეიძლება დანიშნული იქნეს შრომის და თავდაცვის საბჭოს წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმით.

3) ფასების გამორკვევის დროს კომისიების მიერ, რაც აღნიშნულია მეორე მუხლში, აღრიცხული უნდა იქნეს არა მარტო კერძო ბაზრის ფასები, არამედ მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების კოოპერატიული ვაჭრობის ფაქტიური და საწვრიმალო ფასები, ამასთანავე კოოპერატიულ ორგანოების მიმართ მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს შეღავათი, რომელსაც ანიჭებს კოოპერატიული ორგანიზაცია თავის წევრებს.

4) მეორე მუხლში აღნიშნულ კომისიებს ეკისრებათ აგრეთვე (გამოტოვებულია) ფასების ცვლილების საფუძველზე, სპეციალური დანართების დაწესება სიძვირის გამო ძირითად ჯამაგირებზე, რომელიც აღნიშნულია კოლექტიურ ხელშეკრულებებში, ეს ხელშეკრულებები შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ დაწესებულ პარიტეტის მიხედვით გადაყვანილი უნდა იქნენ გამოანგარიშებაზე ოქროს ვალიუტაში.

5) კომისიების გადაწყვეტილებას სიძვირის გამო დასაწესებელ დანართის რაოდენობის შესახებ, რაც მიღებული უნდა იქნეს ფასებისა და შენაწყობის ღირებულების შესახებ შეგროვებულ ცნობების საფუძველზე, ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილება კომისიის მიერ მიღებულია ერთხმად და ის დამტკიცებულია ადგილობრივ საგუბერნიო აღმასკომის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ კომისიაში აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი, მაშინ კომისიის გადაწყვეტილება საგუბერნიო აღმასკომის დასკვნით მიდის საბოლოო გადასაწყვეტათ იმ კომისიაში, რომელიც არსდება საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოსთან შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს შრომის და თავდაცვის საბჭო და ს. რ. პ. კ. ც. ს., ს. მ. უ. ს. და საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები, რომელთაც აგრეთვე ამტკიცებს შრომის და თავდაცვის საბჭო.

6) საბიუჯეტო შენაწყობის ღირებულება განისაზღვრება ყოველ თვის საშუალო რიცხვისათვის ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებით, არა უგვიანეს 20 რიცხვისა.

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ცურიუპა.
მდივანი ფოტიევა.
მოსკოვი-კრემლი.
1924 წ. 11 მარტი.

ვერცხლის ფული და სახაზინო ნიშნები

როგორ მიმდინარეობს ვერცხლის და ხაზინის ბილეთების გამოშვება.

მოსკოვი. 13 მარტი. დღევანდლამდი გამოშვებულია 40 მილ. მანეთი ხაზინის ბილეთებით და 8 მილ. მან. ვერცხლის ფული. მათი შემდეგი გამოშვება იწარმოებს ასეთივე გეგმაშეწონილებით და შეფარდებული იქნება საქონლის ტრიალის საჭიროებებისათვის.

რითი აიხსნება წვრილი ფულის ნაკლებობა?

მოსკოვი. 13 მარტი. ფულის ტრიალის ის სიძნელე, რომელსაც ადგილი აქვს ეხლა წვრილი ფულის საკმაო რაოდენობის უქონლობის გამო, აიხსნება არა იმით, რომ არ არის გამოშვებული ვერცხლისა და წვრილი სახაზინო ბილეთების საკმაო რაოდენობა, არამედ იმით, რომ ისინი თანასწორათ არ არიან განაწილებული. ზოგიერთ დაწესებულებებში წვრილ ფულს აბარებენ გაუხსნელი პაჩკებით, იმ დროს, როდესაც სხვებს მეტათ ესაჭიროებათ წვრილი ფული.

საბჭოთა ფულის ნიშნების გადაცვლის გარშემო.

მოსკოვი. 13 მარტი. მთელი თანხა საბჭოთა ფულის ნიშნების, რომელიც გამოშვებული იქნება 7 მარტამდე, აღემატება 14 მილ. ოქროს მანეთს. ფინანსთა სახალხო კომისარის განკარგულების თანახმად, 10 მარტიდან შეწყვეტილი იქნება 500 მან. ღირებულების საბჭოთა ფულის ნიშნების გაცემა ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროდან, 25 მარტიდან შეწყდება ყოველგვარი საბჭოთა ნიშნების გაცემა. 10 აპრილიდან იწყება საბჭოთა ნიშნების გადაცვლა მტკიცე ვალიუტაზე.

საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ

შვეციის გაზეთების ცნობით შვეციის მთავრობა მოკლე ხანში იცნობს საბჭოთა კავშირს.

ფრანგ მრეწველების გაზეთები ალაპარაკდენ საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ.

მოსკოვში ჩამოვიდა ფრანგ მრეწველების წარმომადგენელი ლეონ გედი.

საბჭოთა კავშირის რწმუნებულმა ნორვეგიაში ამხ. კოლონტაიმ გადასცა ნორვეგიის მთავრობას საბჭოთა კავშირის საპასუხო ნოტა ნორვეგიის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობაზე.

ინგლისის გაზეთების ცნობით ინგლისის ელჩად მოსკოვში დაინიშნება ხოჯსონი.

ფინეთი

მჭიდრო დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

გარეშე საქმეთა მინისტრი ფინეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ჰელსინგფორსი. 11 მარტი. პროგრესიულ პარტიის პარტიიტაგზე გარეშე საქმეთა მინისტრმა ვენნოლამ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა ფინეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. შეეხო რა თავდაცვის კავშირს, ვენნოლამ განაცხადა, რომ ეს საკითხი სავსებით დამოკიდებულია საბჭოთა რუსეთზე და მის ურთიერთობაზე ფინეთისადმი. თავდაცვის კავშირის დამყარება შვეციასთან არ მოხერხდა; პოლონეთთანაც კავშირი სახიფათოა, ვინაიდან კავშირი საფრანგეთის პოლიტიკასთან ჩაგვითრევდა ევროპის წინააღმდეგობაში. მაგრამ მუქარას საბჭოთა კავშირის მხრივ, შეუძლია დაახლოვოს ეს სახელმწიფოები.

შემდეგ ვენნოლამ განაცხადა, რომ ფინეთისათვის საჭიროა განახორციელოს ბალტიის ზღვის ნეიტრალიზაცია, რითაც ერთნაირად დაინტერესებული არიან როგორც ბალტიის ქვეყნები, ისე საბჭოთა კავშირი,—ყველა ისინი, ვისაც სურს თავიდან აიშოროს საომარი ხარჯები.

ნორვეგია

საბჭოთა კავშირის საპასუხო ნოტა.

ქრისტიანია. 11 მარტი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გადასცა ნორვეგიის გარეშე საქმეთა მინისტრს საბჭოთა მთავრობის ნოტა ნორვეგიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო.

ამავე დროს კოლონტაიმ აცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ ის დანიშნულია საბჭოთა კავშირის რწმუნებულად ნორვეგიაში.

შვეცია

საბჭოთა კავშირის ცნობა მახლობელ დღეების საკითხია.

სტოკჰოლმი. 11 მარტი. გაზ. „პოლიტიკენ"-ი იუწყება, რომ ახლო მომავალში შვეციის მიერ საბჭოთა კავშირის მთავრობის ცნობის და სავაჭრო ხელშეკრულების ხელისმოწერის საკითხი გადაეცემა პარლამენტს განსახილველად. ამ ცნობას ადასტურებენ აგრეთვე სხვა გაზეთებიც.

საფრანგეთი ფრონტს იცვლის

დიდი შეცდომა.

პარიზი. 11 მარტი. საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი ხელახლა დასმულია დღის წესრიგში. „ეკონომიური სააგენტო" თავის დამატებაში ეხება საფინანსო საკითხებს და უმთავრესად რუსეთის ნავთის აქციებს. აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა მთავრობა ცნობილია მთელ რიგ სახელმწიფოების მიერ. ავტორი ამბობს, რომ საფრანგეთის მხრივ დიდი შეცდომა იქნებოდა განზე გადგეს და მონაწილეობა არ მიიღოს საერთო მოძრაობაში. სააგენტოს აზრით, საფრანგეთი მიაღწევს სასურველ შედეგებს და აინაზღაურებს ზარალს კავკასიის ნავთის დამუშავებით.

გაზეთ „ეკლერ"-ში ბიური ეხება იმავე საკითხს და ამბობს, რომ ბირჟაზე დადის ხმები თითქოს საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს ახლო მომავალში განაახლოს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. მისი სიტყვით საბჭოთა კავშირის ცნობისათვის სამზადისი შემჩნეულია როგორც ელისეს სასახლეში, ისე კედორსეში (საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო) და მხოლოდ ერთი პუანკარე ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა არავითარ სარგებლობას არ მოუტანს საფრანგეთს."

ბიური ურჩევს მთავრობას, ნუ აჩქარდება და დაუცადოს ინგლის-რუსეთის კომისიის მუშაობის შედეგებს.

საფრანგეთის მრეწველთა წარმომადგენელი მოსკოვში.

მოსკოვი. 13 მარტი. მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის სამრეწველო წრეების წარმომადგენელი ლეონ გედი.

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ვინ იქნება დანიშნული ინგლისის ელჩად მოსკოვში

ლონდონი. 11 მარტი. ინგლისის პრესა განაგრძობს კამპანიის ო'გრეიდის კანდიდატურის წინააღმდეგ ელჩის თანამდებობაზე მოსკოვში.

„ვესტმინსტერ გაზეტტ"-ი აცხადებს, რომ ინგლისის მხრივ ო,გრეიდის შესახებ არავითარი წინადადებები არ ყოფილა წამოყენებული. გაზეთი უერთდება „მანჩესტერ გარდიენ"-ის აზრს იმის შესახებ, რომ ხოჯსონი ყველაზე უფრო შესაფერი კანდიდატია ელჩის თანამდებობაზე მოსკოვში.

„მორნინგ პოსტ"-ი იტყობინება, რომ მთავრობამ საბოლოოდ უარი სთქვა ო'გრეიდის კანდიდატურაზე და ის შესაძლებლად სთვლის წამოაყენოს კანდიდატურა პრაგაში მყოფ ინგლისის ელჩის—კლერკის, რომელიც ინგლისის უმაღლეს კომისრად იყო ბუდაპეშტში უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს.

საბჭოთა კავშირისათვის კრედიტის მიცემის საკითხი.

ლონდონი. 11 მარტი. უკანასკნელ დღეებში ლონდონის ფინანსიური პრესა დაბეჯითებით მოუწოდებს ბანკირებს და, საერთოდ, სიტის ცნობილ წარმომადგენლებს შეურთდენ „ბრიტანეთის ინდუსტრიის ფედერაციას" საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის მოგვარების საკითხში (ბრიტანეთის ინდუსტრიის ფედერაციამ წამოაყენა პრინციპი იმის შესახებ, რომ არავითარი კრედიტების მიცემა არ შეიძლება საბჭოთა კავშირისათვის იმ დრომდი, სანამ ცნობილი არ იქნება ვალები და კომპენსაცია ნაციონალიზაციის წესით ჩამორთმეულ საკუთრებისათვის).

ცნობილი ეკონომისტი პეში და პარლამენტის წევრი კენვორტი ილაშქრებენ ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ „ვესტმინსტერ გაზეტტ"-ის ფურცლებზე. პეში აცხადებს, რომ თუ ინგლისი და საფრანგეთი დაჟინებით მოითხოვენ თავისი პრეტენზიების შესრულებას მაქსიმალურ ფარგლებში, მაშინ შეუძლებელია რაიმე შეთანხმებაზე ლაპარაკი. მიუხედავად თავისი პოტენციალური სიმდიდრისა, რუსეთს მაინც არ შეუძლია იხადოს ვალების პროცენტები; ვალების საერთო თანხა უდრის 2 მილიარდ გირ. სტ. პეში ამბობს: **„რუსეთს ესაჭიროება კრედიტი ტრანსპორტის, ფაბრიკების და ქარხნების აღსადგენათ და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენათ".**

პეში აყენებს შემდეგ პროგრამას: **1) იმ სამხედრო ვალების გაუქმება, რომელიც უნდა გადაუხადოს რუსეთმა ანტანტას,** 2) ომამდის არსებულ ვალების ნაკლებ მნიშვნელოვან თანხამდი დაყვანა და 3) კერძო ვალების და პრეტენზიების განაღდება უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გამორკვეული იქნება სისწორით ამ პრეტენზიების სამართლიანობა, **ამასთანავე არავითარი კომპენსაცია არ უნდა მიეცეს იმ პირებს, რომელთაც დაკარგეს წინანდელი შემოსავალი რუსეთში ომისა და რევოლიუციის გამო.**

კენვორტი კომენტარიებს უკეთებს ინტერვიუს რაკოვსკისთან სესხის პირობების შესახებ, რომელიც წამოყენებული იყო ბრიტანეთის ფინანსისტების მიერ და სწერს: „არ მგონია, რომ ეს პირობები მიიღოს საბჭოთა მთავრობამ. ისინი მეტათ მკაცრია. მე ეჭვი არ შემაქვს სამართლიან შეთანხმების დადების შესაძლებლობაში, მაგრამ ეს შეთანხმება, რასაკვირველია, დადებული იქნება არა ამ პირობების საფუძველზე; მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა მთავრობა დათანხმდება დაუბრუნოს წინანდელ მეპატრონეებს ჩამორთმეული წარმოებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თანახმა იქნებიან აწარმოონ მათი ექსპლოატაცია".

ბესარაბიის მცხოვრებთა მოთხოვნილება

შორს ხელები ბესარაბიისაგან.

ოდესა. 12 მარტი. გუშინ საღამოს ოდესაში გაიმართა ბესარაბიელ ლტოლვილების მრავალრიცხოვანი მიტინგი. მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 3,000 ბესარაბიელმა. მიტინგი ჩატარდა ლოზუნგით:

„შორს ხელები ბესარაბიისაგან." დამსწრეებმა გაუგზავნეს დეპეშები სახალხო კომისართა საბჭოს, საბჭოთა კავშირის და რ. ს. ფ. ს. რ. ცაკებს შემდეგი შინაარსით:

ჩვენ—ბესარაბიელი ემიგრანტები, რომლებიც გამოვექეცით რუმინეთის ბოიარების ჩაგვრას და შევიწროებას, შევიკრიბეთ რა მიტინგზე, გიგზავნით მხურვალე სალამს და მადლობას ჩვენთვის სტუმართ-მოყვარეობის აღმოჩენისათვის **და გთხოვთ დაიცვათ ჩვენი ინტერესები რუმინეთ-რუსეთის კონფერენციაზე.** ვაცხადებთ, რომ ჩვენ მთელს ჩვენს ძალებს შევსწირავთ საბჭოთა რესპუბლიკების განმტკიცებას, განმანთავისუფლებელ ბრძოლას რუმინეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ, ბესარაბიის განთავისუფლებას და მოლდავანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის შექმნას."

დაჩაგრულ ბესარაბიელების ყურადღება მიქცეულია საბჭოთა კავშირისაკენ.

ოდესა. 12 მარტი. რუმინეთის მოსაზღვრე ქალაქებიდან და სოფლებიდან მოდის ცნობები მიტინგების და დემონსტრაციების შესახებ შემდეგ ლოზუნგებით: **„გაუმარჯოს ბესარაბიის განთავისუფლებას რუმინეთის უღლისაგან", „გაუმარჯოს მოლდავანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას". რეზოლიუციებში ბესარაბიელები მიმართავენ საბჭოთა კავშირის და სრულიად უკრაინის ცაკებს თხოვნით მიიღონ ზომები ბესარაბიელების განთავისუფლებლად რუმინელების ჩაგვრისაგან.**

პარიზის კომუნის 53 წ. თავისათვის

თეზისები

მოსკოვი. 11 მარტი (რადიო).

18 მარტი—პარიზის კომუნის 53-ე წლის თავი—არის წითელი დახმარების საერთაშორისო დღე.

1) პარიზის კომუნარების გმირული ცდა მარცხით დამთავრდა. 30,000 კაცი მოკლულ იქნა ბარიკადებზე, საფრანგეთის მუშათა კლასის 13,500 საუკეთესო შვილს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, კატორღა და ციხეში დაპატიმრება.

2) პარიზის კომუნის 53-ე წლის თავისათვის მხოლოდ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები გამოვიდენ გამარჯვებულნი მსოფლიო კაპიტალთან ბრძოლიდან და ცარიზმის და რუსეთის ბურჟუაზიის მიერ აგებული ციხეები მათ მიმართეს მუშურ-გლეხური საქმის მტრების წინააღმდეგ.

3) სხვა ყველა ქვეყნებში ბურჟუაზია ჯერ ისევ ხელისუფლების სათავეში სდგას. მას სურს გაახანგრძლივოს თავისი აუცილებელი დაღუპვის ვადა და ამ მიზნით მან აღადგინა თეთრი ტერორის რეჟიმი მუშათა კლასის წინააღმდეგ. გაღვივებული კლასთა ბრძოლა ზოგან ნამდვილ სამოქალაქო ომის ხასიათს იღებს (იტალია, ბულგარეთი) ხოლო ზოგიერთ ადგილებში მას ეძლევა ავანგარდული შეტაკების ფორმა (გერმანია, პოლონეთი, ლატვია, ლიტვა ამერიკა და სხვ.).

4) ჰყავს რა თავის განკარგულებაში სასამართლო, პოლიცია, ჟანდარმერია, „ოხრანკა," სარგებლობს რა სოციალ შეთანხმებელთა სამსახურით, ბურჟუაზია რევოლიუციასთან ბრძოლაში სცდილობს უწინარეს ყოვლისა უთავოთ დასტოვოს პარტია, ჰკლავს მის ხელმძღვანელებს (ლიბკნეხტი, ლიუქსენბურგი და სხ.) რათა უვნებელი გახადონ ყველაზე გაბედული და ენერგიული მებრძოლები პროლეტარიატის საქმისათვის.

5) თუ 1871 რევოლიუციის შემდეგ საფრანგეთის მუშამ და გლეხმა დაჰკარგა ათეული ათასი ძმები ეხლა კაპიტალთან ბრძოლის პროცესში, მსოფლიო პროლეტარიატის მსხვერპლი ასეულ ათასს უდრის. გერმანიაში დაპატიმრებულია დაახლოვებით 7,000, იტალიაში—6,000, ბულგარეთში—4,000, ესპანეთში—3,000, ფინეთში—1,000, პოლონეთში—1,000, უნგრეთში—800 და სხვ. გარდა ამისა იმპერიალიზმის ათეული ათასი ფერად კანიანი მონები ჩაყრილნი არიან ინდოეთის, აფრიკის და სხვა კოლონიების ციხეებში. დაპატიმრებულთა ოჯახების წევრთა რიცხვი 10,000 აღემატება.

6) პარიზის კომუნის დაღუპვის ერთ-ერთიმთავარი მიზანი იყო საერთაშორისო დახმარების უქონლობა. საფრანგეთის პროლეტარები მარტოდ დარჩენ ბრძოლაში, მათ არ ჰქონდათ დახმარება სხვა ქვეყნები მუშების, და საკუთარ ქვეყნის გლეხობის მხრივ.

7) კომუნის ამ გაკვეთილს ტყუილად არ ჩაუვლია მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის: მან მტკიცეთ შეითვისა, რომ გამარჯვების საწინდარია ყველა ქვეყნის პროლეტარული სოლიდარობა და კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის. ამ სოლიდარობის ერთ-ერთ გამოხატულებათ ითვლება ის, რომ პროლეტარული ბრძოლის მსხვერპლნი დღეს არ არიან მიტოვებული ბედის ანაბარად.

8) ბურჟუაზიის მიერ დატყვევებულებზე ზრუნავს დღეს რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია. იგი დაარსდა ერთი წლის წინად პოლიტიკურ კატორღელების და ძველი ბოლშევიკების საზოგადოებათა თაოსნობით. ბურჟუაზიულ ციხეებში გამომწყვდეულ მებრძოლთა დახმარების წყარო, რევ. მებრძ. დახმ. საერთ. ორგანიზაციისათვის, არის მხოლოდ და მხოლოდ შემოწირულებანი, მშრომელთა წვლილი და მისი ორგანიზაციების წევრთა საწევრო გადასახადები.

9) ერთი წლის მუშაობის განმავლობაში საბჭოთა კავშირში რევ. მებრძ. დახმ. საერთაშორისო ორგანიზაციის ჰყავს 500.000 წევრი და 84 საგუბერნიო განყოფილება.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიერ გაწეული დახმარება ერთი წლის განმავლობაში უდრის 300,000 ოქრ. მანეთს. აქედან დაპატიმრებულთა დასახმარებლად გაიგზავნა 200,000 მანეთი. რევ. მებრძ. დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციას ჰყავს თავისი სექციები გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, პოლონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, ბულგარეთში და სხვაგან.

10) რამდენადაც ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში გაბატონებულია შავი რეაქციის მუშტი, ამ ქვეყნების მუშებს არ შეუძლიათ ჯერ კიდევ სავსებით დააკმაყოფილონ თავიანთ დაპატიმრებულ მებრძოლთა მოთხოვნილებანი—გაწეულ დახმარების 90 პროც. ხვდება საბჭოთა კავშირის მშრომელებს.

11) მაგრამ გაწეული დახმარება ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის საკმარისი. რევ. მებრძ. დახმარ. საერთაშორისო ორგანიზაციას აქვს საშუალება დააკმაყოფილოს ყველა დაპატიმრებულთა მთხოვნელების მხოლოდ 15 პროც. ეს დახმარება ძალიან უნდა გაიზარდოს, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ყველა პატიმართა აარსებო საჭიროებანი, გამოკვებილ და ჩაცმულ იქნან დაღუპულთა და დაპატიმრებულთა ცოლშვილი. მხოლოდ იმ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირის თვითეული პატიოსანი მოქალაქე თავის წვლილით შევა რევ. მებრძ. დახმ. საერთაშორისო ორგანიზაციის რიგებში და მონაწილეობას მიიღებს მის მუშაობაში შესაძლებელი გახდება დაპატიმრებულთა მძიმე მდგომარეობის მნიშვნელოვნად შემსუბუქება.

12) მაგრამ მნიშვნელობა აქვს არა მარტო მატერიალურ დახმარებას, საჭიროა დავანახოთ რევოლიუციის მებრძოლებს, რომ ისინი მარტოთ არ არიან დარჩენილი—საბჭოთა რუსეთის მშრომელთა მილიონები, მიუხედავად იმისა, რომ მათ აშორებს საზღვრები, მათთან ერთად არიან და ზრუნავენ მათზე.

ეს განამტკიცებს დაპატიმრებულთა რწმენას, გააძლიერებს მათ იმედებს და ადვილად გადაატანინებს ციხის ცხოვრების ყოველგვარ გაჭირვებას და წამებას.

13) მაგრამ რევ. მებრძ. დახმ. საერთაშორისო ორგანიზაცია არ არის საქველმოქმედო დაწესებულება. იგი არის კლასიური პროლეტარული ორგანიზაცია. დახმარებამ, რომელიც დაპატიმრებულთ ეძლევა, უნდა შემატოს მათ ძალები უკანასკნელ მომავალ რევოლიუციონურ ბრძოლისათვის და ამით გაზარდოს რევოლიუციის არმია. პროლეტარიატის რიგების შევსება მეტ შანსებს იძლევა რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

14) საბჭოთა კავშირი დიდი შრომით ეწევა თავის მეურნეობის აღმდგენლობითი მუშაობას, უმთავრესად იმიტომ, რომ გარშემორტყმულია კაპიტალისტების მიერ.

პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვება დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ძლიერების აღდგენის საქმეს.

ამიტომ საბჭოთა კავშირის მშრომელები უშუალოთ არიან დაინტერესებულნი თავიანთ თანამებრძოლ ამხანაგებისათვის დახმარების გაწევით, რომლებიც ბურჟუაზიულ ჯალათების საკანებში არიან ჩაყრილნი.

15) კავშირი რუსეთის მშრომელთა და ბურჟუაზიულ ციხეებში დაპატიმრებულთა შორის ყველაზე უფრო აშკარად ხორციელდება კაპიტალისტურ ქვეყნების საკანებში გამომწყვდეულ მებრძოლებზე შეფობის მიღებით. დღეს რევ. მებრძ. დახმ. საერთ. ორგანიზაციის დაახლოვებით 40-მა საგუბერნიო ორგანიზაციამ მიიღო შეფობა დასავლეთ ევროპის ციხეებში დაპატიმრებულებზე. ასე მაგ. პერმი არის ფორლის (იტალია) ციხეებში დაპატიმრებულთა შეფი, ხარკოვი—მიუნსტერის (გერმანია) ციხის შეფი, პოლტავა—პლევნას (ბულგარეთი) ციხის შეფი, ვიატკა—ნიდერშენფელდის და სტრაუბინგის (ბავარია) ციხეების შეფი, კიევი—ლვოვის (გალიცია) ციხის, ტულა—ბერლინის ციხის და სხვ.

16) ყოველმა პატიოსანმა მშრომელმა,—ვისაც სურს მუშათა კლასის და გლეხობის ჩქარი გამარჯვება კაპიტალზე, უნდა დაეხმაროს რევოლიუციის მებრძოლებს და აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა რევ. მებრძ. დახმ. საერთაშორისო ორგანიზაციაში მის რიგებში შესვლით. ეს არის საუკეთესო საშუალება პარიზის კომუნარების ხსოვნის აღსანიშნავად და საუკეთესო დახმარება იმათი, ვინც დღეს ჩაყრილნი არიან ბურჟუაზიულ ციხეებში პარიზის კომუნის იდეალებისათვის ბრძოლის გამო.

რუსეთის კომპარტიის ცეკას აგიტ.-საპროპ. განყოფილება.

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს მოწოდება

მოსკოვი. 13 მარტი. პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს მოწოდება, რომელიც გამოშვებულია 18 მარტის აღსანიშნავად, მიუთითებს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლ იმ ათეულ ათასს გმირებზე, რომელნიც იტანჯებიან კაპიტალისტური ქვეყნების ციხეებში, რომელთა ცოლები და ბავშვები იხოცებიან სიმშილისა და გაჭირვებისაგან. მათი რიცხვი მუდამ იზრდება, რადგან არ წყდება პროლეტარიატის შეტაკება კაპიტალისტებთან ეკონომიურ ნიადაგზე. მოწოდება მოუხმობს მუშებს, რევოლიუციონურ ორგანიზაციების წევრებს დახმარება გაუწიონ ციხეებში დამწყვდეულთ, იმათ, ვინც გაჭირვებას, ტანჯვას განიცდის იმისათვის, რომ პროტესტი განაცხადეს არაადამიანურ ექსპლოატაციის წინააღმდეგ, უარი სთქვეს ემუშავნათ სულ მცირე შრომის ხელფასის პირობებში და სოლიდარული გრძნობა გამოიჩინეს თავის ამხანაგების მიმართ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ლტოლვა კომპარტიისაკენ.

ბაქო. 10 მარტი. 8 მარტამდე ლენინის პარტიის რიგებში შესვლის სურვილი განაცხადა ბაქოს 7634 მუშამ. რაიონების მიხედვით განცხადებები ნაწილდება ამ რიგად: ლენინის რაიონში—2,328, ფაბრიკა-ქარხნების—1,890, ბაილოვო-ბიბი-ეიბათის—1,100, ქალაქის—1,198, სურახანის—430, სადგურის იქითა რაიონის—447, ბინაგადინის—334; გრძელდება განცხადებების მიღება და განხილვა.

სომხეთი

სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

ერევანი. 10 მარტი. ეკონომიურ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსების შესახებ; ბანკს ექნება ძირითადი კაპიტალი 750,000 მანეთი. ბანკის ამოცანაა ხელი შეუწყოს სასოფლო მეურნეობის განვითარებას სომხეთში მოკლე და გრძელვადიანი კრედიტების გაცემის გზით. მოხდება სომხეთის სახელმწიფო ბანკის ლიკვიდაცია.

კომუნალური ბანკი.

ერევანი. 10 მარტი. სასოფლო-სამეურნეო ბანკს გარდა დაარსდება კომუნალური ბანკი, რომლის ძირითადი კაპიტალი იქნება 800,000 მანეთი.

რადიო-სადგური.

გორისი. 10 მარტი. ამუშავდა რადიო-მიმღები სადგური.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვა

ახალგაზრდათა კომკავშირის საერთო-საქალაქო კრებაზე ოპერის თეატრში

ლენინი და კომინტერნი.

ამხანაგებო, 1919 წლის 2 მარტს ამხ. ლენინმა, რომლის ხმა საუკუნოთ შეწყდა, მოსკოვში გახსნა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი კონგრესი შემდეგი სიტყვებით: „ჩვენს ყრილობას უდიდესი საერთაშორისო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ის ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველა ილიუზიების დამარცხების დამამტკიცებელია. არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპის ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, მაგალითად, გერმანიაში სამოქალაქო ომი ხომ ფაქტი გახდა.

ხალხი გრძნობს იმ ბრძოლის სიდიადეს და მნიშვნელობას, რომელიც ეხლა ვითარდება. საჭიროა მხოლოდ გამონახული იქნეს ის პრაქტიკული ფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს პროლეტარიატს განახორციელოს თავისი ბატონობა. ასეთი კი არის საბჭოთა წესწყობილება პროლეტარიატის დიქტატურით. პროლეტარიატის დიქტატურა,—ეს სიტყვები მასებისათვის აქამდის „ლათინური ენა" (გაუგებარი რამ) იყო. საბჭოთა სისტემის სახელის განთქმის გამო მთელს მსოფლიოში, ეს „ლათინური ენა" „გადათარგმნილია" ყველა ახალ ენებზე. დიქტატურის პრაქტიკული ფორმა გამონახულია მუშათა მასების მიერ, ის გასაგები გახდა მუშათა ფართო მასებისათვის საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წყალობით რუსეთში, სპარტაკელების წყალობით გერმანიაში და სხვა ამგვარ ორგანიზაციების წყალობით სხვა ქვეყნებში"

1919 წლის 2 მარტის თარიღი—მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების ფორმალური თარიღია. მზადება ამ თარიღისათვის დაწყებული იყო ამხ. ლენინის მიერ მეორე ინტერნაციონალის სამარცხვინო სიკვდილის მეორე დღიდანვე.

1914 წლის 1 ნოემბერს ამხ. ლენინი საზღვარ-გარეთ სწერდა: „მეორე ინტერნაციონალი მოკვდა, ოპორტუნიზმის მიერ დამარცხებული. ძირს ოპორტუნიზმი. გაუმარჯოს არა მარტო „პერებეჟჩიკებისაგან", (როგორც ეს სურს გაზ. „გოლოს"-ს) არამედ ოპორტუნიზმისაგანაც გაწმენდილ მესამე ინტერნაციონალს.

მეორე ინტერნაციონალმა შეასრულა სასარგებლო მოსამზადებელი მუშაობის ნაწილი, იმ მუშაობის, რომელიც მიმართული იყო პროლეტარულ მასების წინასწარ დარაზმვისაკენ ყველაზე უფრო სასტიკ კაპიტალისტურ მონობის გრძელ მშვიდობიან ეპოქაში და მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მესამედის და მეოცე საუკუნის დასაწყისის ყველაზე უფრო ჩქარი კაპიტალისტურ პროგრესის ხანაში. მესამე ინტერნაციონალის წინაშე სდგას ამოცანა დარაზმოს პროლეტარიატის ძალები რევოლიუციონური შეტევისათვის კაპიტალისტურ მთავრობებზე, სამოქალაქო ომისათვის ყველა ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პოლიტიკურ ძალაუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის".

ამ რამოდენიმე სტრიქონში, რომელიც დაწერილი იყო ამხ. ლენინის მიერ იმპერიალისტური ომის და ყველა ქვეყნების სოციალისტების დიდი უმრავლესობის ბურჟუაზიის წინაშე სამარცხვინო კაპიტულიაციის ხანაში, იმ დროს, როდესაც ინტერნაციონალიზმის წითელი დროშა შოვინისტურ და კაცი-ჭამიობის ჭაობში ითელებოდა,—მოცემულია მეორე ინტერნაციონალის სამარცხვინო სიკვდილის ამომწურავი დახასიათება და მომავალ მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა.

მეორე ინტერნაციონალის დამარცხების მიზეზები.

სანამ გადავიდოდე მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მოღვაწეობის დახასიათებაზე, მე ვფიქრობ, ამხანაგებო, შევჩერდე, თუ გინდ მოკლეთ, იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს მეორე ინტერნაციონალის სამარცხვინო სიკვდილი.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდი, არც ერთი სოციალისტისათვის საიდუმლოებას არ შეადგენდა ის კატასტროფა, რომელიც თანდათან გვიახლოვდებოდა, აგრეთვე საიდუმლოებას არ შეადგენდა ამ კატასტროფის ხასიათი. ჯერ კიდევ 1912 წ. მეორე ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესზე ერთხმად მიღებული იყო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ „ომი, რომელიც მოსალოდნელია, შეუძლებელია გამართლებული იქნეს ეროვნული თავისუფლების ინტერესებითაც კი. მუშების მხრივ ბოროტმოქმედება იქნებოდა, რომ მათ იარაღი ეხმარათ ერთმანეთის წინააღმდეგ ამ ომში. ომს მიეყვანათ პროლეტარულ რევოლიუციისაკენ". კონგრესის რეზოლიუცია ავალებდა ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს მთელის ძალღონით ებრძოლათ მოსალოდნელ ომის წინააღმდეგ და წინააღმდეგობა გაეწიათ მისთვის, თუ ის დაიწყებოდა. ამ გადაწყვეტილებით ბაზელის კონგრესი წინასწარ სწყვეტდა ყველა იმ საკითხებს, რომელნიც დასმული იყო ყველა ქვეყნების სოციალისტების წინაშე 1914 წ. აგვისტოს დღეებში. გადაწყვეტილი იყო: ომი იმპერიალისტურია, ბოროტმოქმედება იქნებოდა, რომ პროლეტარებს ესროლათ ერთმანეთისთვის. ომს მიეყვანა პროლეტარულ რევოლიუციისაკენ. აქედან ყოველი სოციალისტის მოვალეობაა პატიოსნათ შეესრულებინა 1912 წ. ბაზელის კონგრესის ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებები. როგორ მოიქცენ ნამდვილათ ყველა ქვეყნის სოციალისტები. მათ დაივიწყეს ბაზელის კონგრესის შესახებ. მათ დაავიწყდათ აგრეთვე 1917 წ. შტუტგარდტის კონგრესი, რომელმაც აგრეთვე მიიღო რეზოლიუცია ომის წინააღმდეგ. დაავიწყდათ ყველაფერი, რასაც ქადაგებდა და გვასწავლიდა მარქსი და ყველა ქვეყნის სოციალისტებმა, ცოტას გამოკლებით, სამარცხვინოთ მოიხარეს თავი ამ თუ იმ სახელმწიფოს ბურჟუაზიის სამეფროვან დროშის წინაშე. წინააღმდეგ ბაზელის კონგრესის გადაწყვეტილებებისა, თვითეული სახელმწიფოს სოციალისტებმა, ომი, რომელიც დაიწყო ბურჟუაზიამ ბურჟუაზიის ინტერესებისათვის, გამოაცხადეს ეროვნულ ომათ. წინააღმდეგ ბაზელის კონგრესის დადგენილებებისა, სოციალისტები ჩადგენ თავიანთ სახელმწიფოთა არმიების მოწინავე რიგებში და უსირცხვილოთ ესროდენ მეორე სახელმწიფოს სოციალისტებს. წინააღმდეგ ბაზელის კონგრესის გადაწყვეტილებებისა, ყოველის მხრივ წინააღმდეგობა გაეწიათ ომისათვის, ყველა ქვეყნის სოციალისტების დიდმა უმრავლესობამ გამოაცხადა სამოქალაქო ზავი თავის ბურჟუაზიასთან, სამოქალაქო ომის მაგივრათ მის წინააღმდეგ.

მეორე ინტერნაციონალმა ვერ გაუძლო გამოცდას და დაიღუპა. ნუ ვიდავებთ ამაზე. სოციალიზმის დაშლის და დანგრევის ამ საშინელ დღეებში, ლენინი იყო ერთად-ერთი კაცი, რომელმაც დაუზოგველი ბრძოლა დაიწყო გამყიდველ სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ. ამ დროიდან იწყება ამხ. ლენინის გაცხოველებული მუშაობა, რომელიც მიმართული იყო მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მოწყობისაკენ. ციმმერვალდი, კინნტალი,—ეს ეტაპებია მესამე ინტერნაციონალისაკენ.

ლენინი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა ბაზელის კონგრესის გადაწყვეტილებებს და აგიტაციას ეწეოდა ამ მიმართულებით, ის რაზმავდა ყველა ქვეყნის მუშათა მასებს. ეს ადვილი არ იყო, ამხანაგებო, შოვინიზმის თარეშის საშინელ დღეებში. გამოდის რა ბაზელის კონგრესის გადაწყვეტილებებიდან, ლენინი ქადაგებს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევას. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ რუსეთში, ლენინი განაგრძობს იმავე პოლიტიკას და მას მიჰყავართ დიდებულ ოქტომბრამდი. 1918 წ. და 1919 წლის დასაწყისში გერმანიაში და სხვა ქვეყნებში ყალიბდებიან სუსტი კომუნისტური ორგანიზაციები.

1918 წ. 2 მარტს იხსნება პირველი კონგრესი. ასეთია, ამხანაგებო მეორე ინტერნაციონალის დაცემის მოკლე დახასიათება და მზადება მესამე ინტერნაციონალისათვის. სოციალ გამყიდველები სცდილობდენ გაეცოცხლებიათ მეორე ინტერნაციონალის დიდი ხნით გაცივებული გვამი.

1919 წელს, თებერვალში მოწვეული იყო სოციალ-გამყიდველების ბერნის ოფიციალური კონფერენცია. დღის წესრიგში იყო ომის გამოწვევისათვის დამნაშავეთა საკითხი. ინგლისის ეხლანდელი პრემიერ-მინისტრი მაკდონალდი ამის გამო სწერს: „ბერნის კონფერენციაზე გამართული კამათი ომის გამოწვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხის გარშემო იყო **მხოლოდ დათმობა არა სოციალისტურ წრეების საზოგადოებრივი აზრისადმი.** ბერნის კონფერენციაზე არა თუ არ იყო ამ საკითხის გამო ისეთი გადაწყვეტილების მიღების საშუალება, რომელსაც ექნებოდა რაიმე ისტორიული ღირებულება (თუმცა-ღა მას ექნებოდა რაიმე პოლიტიკური ღირებულება), არამედ თვით საკითხიც არ იყო სათანადოთ დასმული".

ასე ახასიათებს მაკდონალდი მეორე ინტერნაციონალის გაცოცხლებული გვამის პირველ ნაბიჯს. ეს ომის საკითხის შესახებ. თუ აქ მათ ვერ შესძლეს ვერავითარი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ კამათი იყო „არა სოციალისტური წრეების საზოგადოებრივი აზრისადმი დათმობა", მეორე საკითხში კი, საკითხში სოციალისტური რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მეორე ინტერნაციონალმა დაიკავა არქი-გამყიდველური პოზიცია, რომელიც უარჰყოფს სამოქალაქო ომს პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის, უპირისპირებს რა პროლეტარიატის დიქტატურის წმინდა დემოკრატიას.

„რუსული გზა"—გზა ოქტომბრის რევოლიუციისა გამოცხადებულ იქნა აზიურ ბარბაროსობათ. ჩვენთვის აუცილებელია, ამხანაგებო, შევჩერდეთ ამ ორ საკითხზე—პროლეტარიატის დიქტატურა და წმინდა დემოკრატია. ჩვენ უსათუოდ უნდა გავარკვიოთ, შევათვისებინოთ იმ ხალხს, რომელიც განთავისუფლდა დაწყევლილ მენშევიზმისაგან და სურს ჩვენთან მოსვლა, მაგრამ საშინლად იბნევა ამ საკითხებში, და თქვენთვისაც, ძვირფასო ამხანაგებო, ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთხელ სერიოზულად ჩაუფიქრდეთ ამ საკითხებს და შეითვისოთ ისინი ნამდვილ მარქსისტულად და ლენინისებურად. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ, როგორც ამას წინად გამართულმა დისკუსიამ ჩვენს პარტიაში დაგვანახვა, ამ საკითხებში გამომჟღავნდა ზოგიერთი მერყეობა და გაუგებრობა.

დემოკრატია თუ დიქტატურა.

რა არის, ამხანაგებო, დემოკრატია, წმინდა დემოკრატია,—უწმინდესი დემოკრატია? ეს არის, ამხანაგებო, არა მაინც და მაინც წმინდათ დაფარული დიქტატურა ბურჟუაზიისა. აიღეთ რომელი სახელმწიფოც გნებავთ, უსრულესი დემოკრატიული კონსტიტუციით, ყველაზე უფრო ფართო თავისუფლებით განა ის აძლევს სინამდვილეში თავისუფლებას მუშას? არ კმარა კონსტიტუციის სიტყვის, პრესის თავისუფლების ქონება, რა გამოვა ასეთ თავისუფლებიდან, თუ საუკეთესო დარბაზები, საუკეთესო შენობები კრებებისათვის არის ბურჟუაზიის ხელში და შენ კი შიგ არავინ შეგახედვიებს. რა ფასი აქვს პრესის თავისუფლებას, თუ მთელი ქაღალდი, ყველა სტამბები კაპიტალისტების ხელშია და შენ, მუშას არ შეგიძლია გამოსცე თავისი მუშური გაზეთი ქაღალდის და საბეჭდავი დაზგის უქონლობის გამო. რა ფასი აქვს პიროვნების ხელშეუხებლობას, თუ ათასობით მუშებს ამწყვდევენ ციხეებში მცირედი პროტესტისათვის ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ. და განა საჭიროა, ამხანაგებო, იმის მტკიცება, რომ დემოკრატია ასე ამტკიცებს თავის თავისუფლებას? შვიდი ათასი დაპატიმრებული კომუნისტი-მუშა გერმანიაში, ექვსი ათასი მუშა იტალიაში, ოთხი ათასი მუშა და გლეხი ბულგარეთში, სამი ათასი ესპანეთში, ერთი ათასი ფინეთში, ათასი პოლონეთში, ათასი უნგრეთში და კიდევ მრავალი ათასი ჩაგრული აღმოსავლეთის ქვეყნებში, ინდოეთში, აფრიკაში, რომლებიც იტანჯებიან ციხეებში, აშკარად ლაპარაკობენ „დემოკრატიის" „სიკეთეზე" მუშათა კლასისათვის.

აქ შეუძლიათ სთქვან, რომ ბოლშევიკების ციხეები ავსილია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია უპასუხოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენს ციხეებში არ ზის არც ერთი მუშა და გლეხი ბურჟუაზიულ წესწყობილების წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. ჩვენ ციხეებში სხედან ისინი, ვისაც სურთ აღადგინონ ბურჟუაზიის და მემამულეთა ბატონობა და ისინი კიდევ ცოტაა, ამხანაგებო, დემოკრატია, თვით უწმინდესი დემოკრატიაც კი, სინამდვილეში არის უმცირესობის დიქტატურა, ერთი მუჭა ბურჟუაზიის ბატონობა ხალხის უდიდეს უმრავლესობაზე. პროლეტარიატის დიქტატურა კი, პირიქით არის ამ ერთი მუჭა ბურჟუაზიის, ექსპლოატატორების ძალით დამონება მშრომელთა უდიდესი უმრავლესობის ინტერესებისათვის. პროლეტარიატის დიქტატურა ეკონომიურ ბაზას აცლის ბურჟუაზიას, კონფისკაციით ართმევს მას საწარმოო საშუალებებს, ფაბრიკებს, ქარხნებს, საუკეთესო სახლებს, დარბაზებს კრებებისათვის, საუკეთესო სტამბებს, ქაღალდს, ანთავისუფლებს მუშებს და გლეხებს ციხეებიდან, რომლებიც ჩაყრილნი არიან იქ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და ყველაფერ ამას აძლევს მუშებს; პროლეტარიატის დიქტატურას ამით ეძლევა ნამდვილი მუშათა დემოკრატიის ხასიათი. პროლეტარიატის დიქტატურა, ანგრევს რა ძველ ბურჟუაზიულ გაბატონებულ კლასის მმართველობას და სამეურნეო აპარატს და მის მაგიერ ჰქმნის რა მუშურს, ამით სამეურნეო-სახელმწიფოებრივ აპარატს აძლევს არქი-დემოკრატიულ ხასიათს. პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც წინ უძღვის გლეხობას და ხელმძღვანელობას უწევს მის ბრძოლას მემამულეების წინააღმდეგ, აძლევს მათ მიწას და ძალაუფლებას,—და მით ჰქმნის მუშათა და გლეხთა ისეთ დემოკრატიას, რომელიც ჯერ ისტორიას არ ახსოვს. პროლეტარიატის ეს დიქტატურა ჩამოყალიბდა მშრომელთა ხელისუფლების ორგანიზაციის საბჭოთა სისტემაში.

კლასის და პარტიის დიქტატურა.

მაგრამ, ამხანაგებო, არიან ადამიანები, რომლებიც შემდეგნაირად აყენებენ კითხვას: „პროლეტარიატის დიქტატურა მისაღებია, მაგრამ თქვენ გაქვთ არა პროლეტარიატის, არამედ პარტიის დიქტატურა. თქვენ თავზე ახვევთ თქვენ აზრს მუშათა კლასს. თქვენ არა გაქვთ სიტყვის, ბეჭდვის და კრებების თავისუფლება ყველა მუშებისათვის. თქვენთან თავისუფლებით სარგებლობენ მხოლოდ მუშები და გლეხები, რომლებიც თქვენ თვალსაზრისს იზიარებენ. თქვენს პარტიაში მუშები უმცირესობას შეადგენენ. მაშასადამე თქვენ არ გაქვთ პროლეტარიატის დიქტატურა." ასე ლაპარაკობს ქართული მენშევიზმის ერთ-ერთი ლიდერთაგანი, სეით დევდარიანი, რომელიც დღეს პრესაში და კრებებზე გამოდის ბანდიტების—საქართველოს სოციალ დემოკრატიულ პარტიის მოღვაწეთა წინააღმდეგ.

გავარჩიოთ, ამხანაგებო, დევდარიანის დებულებები. ოქტომბრის რევოლიუციის მომენტში მუშათა კლასის და ჯარისკაცების უდიდესი უმრავლესობა რუსეთში ჩვენ მხარეზე იყო. ამას ვერ უარყოფს სეით დევდარიანი, მაგრამ აჯანყება მომზადებული, დრო დანიშნული და გამოსვლა დაწყებული იყო ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით. რეაქციის წინააღმდეგ მთელ შემდეგ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტია, რუსეთის მუშათა კლასის უშუალო და აქტიური მონაწილეობით.

ბურჟუაზიულ ქონების კონფისკაციას და ძველ ბურჟუაზიულ წესწყობილების ნგრევას ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტია. ამხ. ლენინმა რუსეთში ჩამოსვლის პირველ დღესვე დააყენა საკითხი იმ ნაირად, რომ საბჭოების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების საკითხს ჩვენ დავაყენებთ პრაქტიკულად მხოლოდ მაშინ, როცა უმრავლესობა საბჭოში ჩვენს მხარეზე იქნება.

ეს ასეც მოხდა.

საბჭოთა მეორე ყრილობის უმრავლესობა, რომელმაც საბჭოთა ძალაუფლება გამოაცხადა, ბოლშევიკებისაგან შესდგებოდა. „ზიმნი დვორეცს" ჩვენ ვანადგურებდით, რადგან ჩვენ ზურგს გვიმაგრებდა საბჭოთა მეორე ყრილობა. ოქტომბრის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული ბრძოლა მენშევიკების, კადეტების, ესერების და სხვ. კონტრ-რევოლიუციონურ ნაძირალების წინააღმდეგ მოითხოვდა ჩვენი პარტიისაგან კიდევ მეტ ენერგიას, შეკავშირებას და ხელმძღვანელობას, და ამგვარად, ოქტომბრის რევოლიუციის პარტია, რომელმაც დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, თვით გახდა რა იგი პროლეტარიატის ავანგარდი, მისი ნებისყოფის და მისწრაფებათა შეგნებული გამომხატველი, არის პროლეტარიატის დიქტატურის პარტია. მაგრამ არ დავფარავ, ამხანაგებო, რომ იყო მომენტები, როცა დაღლილ-დაქანცული მუშათა კლასი, დამშეული და გაცივებული, ერთი წუთით იჩენდა მერყეობას, ეს იყო 20 წლის დამლევს, კრონშტადტის აჯანყების დღეებში, როცა ლენინგრადის მუშებს ეჭვი შეეპარათ საბჭოთა ხელისუფლებაში. მერმე რა უყოთ—გვეტყვიან ჩვენ,—მაშინ ჩვენ პარტიას უნდა დაეყარა იარაღი და გადაეცა ძალაუფლება კრონშტადტის მეამბოხე-კადეტებისათვის?

არა, პარტია სხვანაირად მოიქცა. მან ჩააქრო კრონშტადტის აჯანყება და ამ მომენტში, შესაძლოა, კიდეც მოახვია თავზე ლენინგრადის მუშებს თავისი პროლეტარული ნებისყოფა,—ნუ მიეცემიან სასოწარკვეთილებას, ნუ გამოიჩენენ სულმოკლეობას, აიტანონ სიცივე, სიმშილი და გადაარჩინონ საბჭოთა ხელისუფლება.

ვინ აღმოჩნდა მართალი? კომუნისტური პარტია, რომელმაც თავისი სურვილები მოახვია თავზე, თუ მშიერი, ილაჯ-გაწყვეტილი მუშა?

პარტიული ცხოვრება

დღეს, 14 მარტს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში მოწვეულია

მბეჭდავთა ყველა იაჩეიკების გაერთიანებული დახურული კრება.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა, დღის წესრიგში დასმულ საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო. ბიურო.

ამხანაგების საყურადღებოდ

ქალაქის რაიკომი აქვეყნებს ქალაქის რაიონის უჯრედების პასუხისმგებელი ხელმძღვანელების სია და წინადადებას აძლევს ჩამოთვლილ ამხანაგებს ხუთშაბათს 13 მარტს დღის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე გამოცხადდნენ რაიკომში მივლინების ბარათის (ПУТЁВКА) მისაღებად: 1. სამხედრო-საზღვაო სტამბა გეუჩკინი, ელისაბედაშვილი, 2. მე-3-ე სტამბა—გუსეინოვი, გაიოზ დევდარიანი, 3. 1-ლი სტამბა—არჩილ მიქაძე, 4. 5-თე სტამბა—ლიოზნიანსკაია, ტალახაძე, 5. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა—ბაგირჯანოვი, პენიაკოვი, 6. ექსპედიცია—ივანიანი, 7. ლენინის სახელობის ფ-კა—ნ. ოკუჯავა, 8. ტფილისის ელექტრო-მექანიკური ქარხანა—რუხაძე, 9. ასანთი—ბაბაჯანოვი, 10. გრეხილი ავეჯის ქარხანა ხრისტოლიუბოვი, 11. ფაბზავუჩი — ტერ-აკოფოვი, 12. უესი — ვულფოვიჩ, შირკანსკი, 13. ტყავზე მომუშავეთა კავშირი —მ. ესსენ, 14. ცეცხლის მქრობელთა რაზმი—ლეინ, 15. ქალაქის ფურნე—ალავერდიანი, ერმალოვი, 16. სახალხო კავშირი—ათარბეგოვი, 17. ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი—ტაკოევი, ვ. სტურუა, 18. ცენტრ. პარტიული სკოლა ბრომიკერი, ხაჭაპურიძე, 19. მუშფაკი—მ. ოკუჯავა, 20. სახუნ. მეცნიერება ფაკულტეტი—მიასნიკოვი, ნოვიკოვი, 21. საინჟინერო ფაკულტეტი ა. ესსენ, კანდელაკი, 22. სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი—ყაზარიძე, 23. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისია—პანკრატოვი, 24. საქართველოს საგანგებო კომისია—სემკოვი, 25. 55-ე დივიზიონი—ივანოვი, 26. განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი გ. სტურუა, 27. ქალაქის მილიცია ალ. ჯაფარიძე, 28. გემო-კვების კავშირი—ზავარიან, 29. ფინსახკომის რწმ. სამმართველო შ. იონესიანი, 30. იუსტიციის სახ. კომისარიატი—კოტე ცინცაძე, მოგილევსკი, 31. ქალაქის აღმასკომი—ტაკოევი, 32. მუშათა და გლეხთა ინსპექცია—ატოევი. 33. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი—შავერდოვი, 34. სახალხო კომისართა საბჭო—ალ. იაშვილი, 35 სახელმწიფო ბანკი—დივნოგორცევი.

ქალაქის რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი. ვ. სტურუა.

მილიციაში

ტფილისის მუშათა-გლეხთა მილიციის სამი წლის თავი

დღეს,—14 მარტს სრულდება 3 წლის თავი, რაც არსებობს ტფილისის მ|გლეხთა მილიცია.

მუშურ-გლეხურმა მთავრობამ შექმნა ნამდვილი მუშურ-გლეხური ფოლადისებური მილიცია, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობებს და ფხიზლად დგას თავის მოძმეთა—მუშების და გლეხთა ინტერესების სადარაჯოზე.

სულ სხვა იყო მენშევიკების მილიცია. მილიცია მენშევიკების ბატონობის დროს მშრომელი ხალხის და მოქალაქეთა დარაჯის როლს კი არ ასრულებდა, არამედ თვითონვე ხელს უწყობდა ყოველგვარ ბოროტმოქმედებას. არასოდეს არ დაივიწყება ტფილისის მცხოვრებთ მენშევიკური მილიციის „სიგმირე“ 1918 19—20 წლებში, რაც გამოიხატებოდა მათ მიერ მშვიდობიან მცხოვრებთა აწიოკებაში, ძარცვა-გლეჯაში და მრავალი უდანაშაულო მსხვერპლის ვერაგულად დახოცვაში, თავხედობაში და თვითნებურ თარეშში.

ასეთის პირების ხელში მყოფ მუშა-გლეხთა ბედ-იღბალი, რა თქმა უნდა იქნებოდა აუტანელი. მშრომელი მასას ვერ გაერჩია იმ დროს მილიცია ნიკოლოზის ჟანდარმერიისაგან.

დღეს კი ჩვენ წინ ვხედავთ სულ სხვა სურათს. თქვენ გიდგათ მილიციელი—მშრომელი ელემენტი,—შეძლების დაგვარად გაცნობილი თავის მოვალეობას, რომელმაც გარკვევით იცის თუ ვის ემსახურება და ვისი ინტერესების დამცველია; შეეკითხებით—თავაზიანათ გიპასუხებთ საჭიროების დროს; დახმარებას გაგიწევთ ყოველგვარი უბედურ შემთხვევაში და კანონიერ საქმეში.

არ შემიძლია არ მივაქციო მკითხველთა ყურადღება იმ მოვლენას, რომ ტფილისის მ|გ მილიცია საბოლოოდ გაჯანსაღდა კერძოდ მას შემდეგ, რაც მას მოევლინა უფროსად ნამდვილი მუშა-რევოლიუციონერი და იმავე დროს ზედ-მიწევნით გამოცდილი სამხედრო საქმეებში ამხ. სიმონ ხმალაძე.

ამხ. ხმალაძემ დაისახა მიზნათ გაეწმინდა მილიცია ყოველგვარი მავნე და არა-პროლეტარული ელემენტებისაგან, რომელნიც ჯერ კიდევ მენშევიკური მთავრობისაგან „მზითევად“ ხვდა ტფილისის მ|გ მილიციას. შემდეგ ამხ. ხმალაძე შეუდგა მილიციის შემადგენლობის ამაღლებას, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მილიცია დღეს შედარებით უზრუნველყოფილია მატერიალურად. მილიციას გარკვეული სახე აქვს, ის შეგნებულია, მომზადებულია. მ|გ. მილიცია დღეს უკვე არ ატარებს იმ საზიზღარ სახელს მეძრთამისას, რომელიც მენშევიკების დროის მილიცია სამართლიანად იყო მონათლული.

დღეს მილიცია ფხიზელია; მას არ სძინავს, მილიციელი თავის სადარაჯოზე ყველაფერს აქცევს ჯეროვან ყურადღებას—სისუფთავეს, წესრიგის დაცვას, ქუჩების განათებას, ბოროტმოქმედებასთან აწარმოებს შეურიგებელ ბრძოლას, და მრავალი სხვა.

კარგადაა დაყენებული მილიციის შინაგანი მმართველობაც. მილიციის მუშაობიდან განდევნილია ბიუროკრატიზმი და ფორმალობა. თუ უწინ მოქალაქე უბრალო პირადობის მოწმობის მისაღებად თვეობით დარბოდა მილიციის სამმართველოში, დღეს სულ დიდი 2—3 დღეში ღებულობს ყოველგვარ ქაღალდს და კანონიერ განაჩენს მ|გ. მილიციის როგორც მთავარ სამმართველოში, ისე მის დაქვემდებარებულ რაიონების სამმართველოებში.

მ. დანელია.

ეკონომიური ცხოვრება

საბირჟო კურსი ტფილისში.

(14 მარტი)

ჩერვონცები	— 8.500	მილ.
გირვ. სტერლინგ. ეფექტ.	7.310	„
„ ჩეკები	— 7.140	„
დოლარი ეფექ.	— 1726	„
„ ჩეკები	— 1605	„
ოსმ. ქაღ. ლირა	— 1005	„
იტალიური ლირა	— 76	„
ფრანგული ფრანკი	— 70	„

ბიულეტენი

ა. ქ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიისა.

(14 მარტი)

ოქროს მანეთი 8.500.000 მან.

სურსათის ფასები.

(14 მარტი)

პური 1 ხარისხ.—68 ათასი. პური 2 ხარ.—45,000 ათასი, ძროხის ხორცი—300,000 ათასი, ღორის ხორცი 260,000 ათ. შაქარი რაფინადი 300.000 ათ., ფხვნილი შაქარი—218,000 ათ., კარტოფილი—30,000

ტფილისის ბაზრის ფასები.

(14 მარტი)

პური 1 ხ.—90000 ათ., პური 2 ხარ.—60000, ძროხის ხორცი 375.000 ათ., ღორის ხორცი 350.000 ათ., შაქარი რაფინ. 320.000 ათ., შაქარი ფხვნილი 225,000 ათ., კარტოფილი 45000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

კალა ინგლის., სამუშაო ფეხსაცმელები, „ურალმეტ“-ის პროდუქცია, მავთული, კონიაკი ძველი, სასწორები და მეტრიული გირები, „ცენტროსოიუზ“-ის ჩაი, ცეილონის და ჩინეთის ჩაი, ყავა „მოკკო“, განჯის ბამბა, იტალიური გოგირდი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, შვეიცარიული ყველი, კაუსტიური სოდა, რუს. მანუფაქტურა, კვებრახის ექსტრაქტი, ხორბალი და პურეული, ტყავის ლეედები, ქიმიური ნაწარმოები, საშენებელი ლურსმნები, ფანჯრის მინა, ასანთი რუსული, სახ. მეურნ. საბჭოს საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართაჟი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, ერევნის მატყლი (გარეცხილი), ქინაქინა, ჰიგროსკოპიული ბამბა, გაზეთის ქაღალდი, შაბიამანი, ძირტკბილა, ადგილობრივი ხორბალი, განჯის წითელი ღვინო.

ბირჟის მოთხოვნილება.

რუს. მანუფაქტურა, შაბიამანი, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდ., სალამასა, მზესუმზირას ზეთი, ყუბანის ფქვილი, ასანთი რუს., გოგირდი, ნედლი ტყავეულობა, პორტლანდიის ცემენტი, თუჯის და რკინის ნატეხი.

ოფიციალური გარიგებანი.

ელექტრო მოტორი—ელექტრონის ლამპიონები, სულ 3000 მან. თანხისა, პრეისკურანტის ფასებში, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

წყალსადენის მილები—რკინის—1 მ. 50 კ. ფუთში (фут), ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(14 მარტი)

ჩერვ.	მანეთი	ჩერვ.	მანეთ.
1 ჩ.—	8.500.000	56 ჩ.—	476.000.000
2 ჩ.—	17.000.000	57 ჩ.—	484.500.000
3 ჩ.—	25.500.000	58 ჩ.—	493.000.000
4 ჩ.—	34.000.000	59 ჩ.—	501.500.000
5 ჩ.—	42.500.000	60 ჩ.—	510.000.000
6 ჩ.—	51.000.000	61 ჩ.—	518.500.000
7 ჩ.—	59.500.000	62 ჩ.—	527.000.000
8 ჩ.—	68.000.000	63 ჩ.—	535.500.000
9 ჩ.—	76.500.000	64 ჩ.—	544.000.000
10 ჩ.—	85.000.000	65 ჩ.—	552.500.000
11 ჩ.—	93.500.000	66 ჩ.—	561.000.000
12 ჩ.—	102.000.000	67 ჩ.—	569.500.000
13 ჩ.—	110.500.000	68 ჩ.—	578.000.000
14 ჩ.—	119.000.000	69 ჩ.—	586.500.000
15 ჩ.—	127.500.000	70 ჩ.—	595.000.000
16 ჩ.—	136.000.000	71 ჩ.—	603.500.000
17 ჩ.—	144.500.000	72 ჩ.—	612.000.000
18 ჩ.—	153.000.000	73 ჩ.—	620.500.000
19 ჩ.—	161.500.000	74 ჩ.—	629.000.000
20 ჩ.—	170.000.000	75 ჩ.—	637.500.000
21 ჩ.—	178.500.000	76 ჩ.—	646.000.000
22 ჩ.—	187.000.000	77 ჩ.—	654.500.000
23 ჩ.—	195.500.000	78 ჩ.—	663.000.000
24 ჩ.—	204.000.000	79 ჩ.—	671.500.000
25 ჩ.—	212.500.000	80 ჩ.—	680.000.000
26 ჩ.—	221.000.000	81 ჩ.—	688.500.000
27 ჩ.—	229.500.000	82 ჩ.—	697.000.000
28 ჩ.—	238.000.000	83 ჩ.—	705.500.000
29 ჩ.—	246.500.000	84 ჩ.—	714.000.000
30 ჩ.—	255.000.000	85 ჩ.—	722.500.000
31 ჩ.—	263.500.000	86 ჩ.—	731.000.000
32 ჩ.—	272.000.000	87 ჩ.—	739.500.000
33 ჩ.—	280.500.000	88 ჩ.—	748.000.000
34 ჩ.—	289.000.000	89 ჩ.—	756.500.000
35 ჩ.—	297.500.000	90 ჩ.—	765.000.000
36 ჩ.—	306.000.000	91 ჩ.—	773.500.000
37 ჩ.—	314.500.000	92 ჩ.—	782.000.000
38 ჩ.—	323.000.000	93 ჩ.—	790.500.000
39 ჩ.—	331.500.000	94 ჩ.—	799.000.000
40 ჩ.—	340.000.000	95 ჩ.—	807.500.000
41 ჩ.—	348.500.000	96 ჩ.—	816.000.000
42 ჩ.—	357.000.000	97 ჩ.—	824.500.000
43 ჩ.—	365.500.000	98 ჩ.—	833.000.000
44 ჩ.—	374.000.000	99 ჩ.—	841.500.000
45 ჩ.—	382.500.000	1 მ.—	850.000.000
46 ჩ.—	391.000.000	2 მ.—	1.700.000.000
47 ჩ.—	399.500.000	3 მ.—	2.550.000.000
48 ჩ.—	408.000.000	4 მ.—	3.400.000.000
49 ჩ.—	416.500.000	5 მ.—	4.250.000.000
50 ჩ.—	425.000.000	6 მ.—	5.100.000.000
51 ჩ.—	433.500.000	7 მ.—	5.950.000.000
52 ჩ.—	442.000.000	8 მ.—	6.800.000.000
53 ჩ.—	450.500.000	9 მ.—	7.650.000.000
54 ჩ.—	459.000.000	1 ხერვ.	8.500.000.000
55 ჩ.—	467.500.000		

შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ ლენინგრადის მუშები დღესაც ასეთივე მდგომარეობაში არიან. მაშინ, დეე მათ წაიკითხონ ცნობები პარტიაში ათეული ათასი მუშის შესვლის შესახებ. ამხ. ლომინაძემ, რომელიც ამას წინად ლენინგრადში იმყოფებოდა, აგვიწერა ის ენტუზიაზმი, რომელიც ლენინგრადის მუშებს შორისაა გამეფებული. ლენინგრადის პროლეტარი განიცდის მეორე ოქტომბერს. ამხ. ლომინაძემ გადმოგვცა, თუ როგორი ენტუზიაზმით ხვდებიან ამხ. ზინოვიევს იმ ქარხნების მუშები, რომლებიც კრონშტადტის აჯანყების დღეებში მტრულად ხვდებოდენ იმავე ზინოვიევს. არავისათვის საიდუმლოება არ შეადგენს, რომ იმ წლებში მუშათა შორის იყვნენ კიდევ მენშევიკების მთელი ჯგუფები, რომლებიც სცდილობდენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას.

განა ასეთ მუშებისათვის ჩვენ უნდა მიგვენიჭებია პროპაგანდის და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის უფლება? არა, არ უნდა მიგვენიჭებია, და არც ვანიჭებდით.

გადახედეთ, ამხანაგებო, ჩვენს, საქართველოს სინამდვილეზე.

რა იყო საქართველოში?

სამი წლის წინად საქართველოს მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი მისდევდა მენშევიკებს, იგი იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ. იგი მოუთმენლად ელოდებოდა ნოე ჟორდანიას დაბრუნებას ინგლის-საფრანგეთის ჯარებით. განა ჩვენ უნდა მიგვენიჭებია ამ მუშებისათვის პროპაგანდის, ინტერვენციის, ინგლის-საფრანგეთის ჯარების ხიშტებით და ჩოლოყაშვილის დახმარებით საქართველოს ხელისუფლების დამხობის უფლება? ვატარებდით თუ არა ჩვენ არსებითად პროლეტარიატის დიქტატურას, როცა ჩვენ ამ მენშევიკ-მუშებს ვართმევდით სიტყვის, ბეჭდვის და კრებების თავისუფლებას? ჩვენი პოლიტიკა უფრო სწორი იყო, თუ ინტერვენციის პოლიტიკა?

14 ათასი მუშა და გლეხი, რომელთაც მენშევიკური პარტია დასტოვეს, ამ პარტიის გახრწნა და დაშლა, მისი გადაქცევა უპასუხისმგებლო ბანდიტების ჯგუფად, პრესაში და კრებებზე ამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარის და ლიდერის სეით დევდარიანის გამოსვლა — აი ყველაფერი ეს არის საკმარისი პასუხი [illegible] კითხვებზე.

ბი, ამხანაგებო, როგორ გვესმის ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურა და ჩვენი პარტიის როლი ამ დიქტატურის გატარების საქმეში. კლასის დიქტატურის ყოველგვარი სხვა განმარტება სათანადო პარტიის გარეშე, რომელიც ამ დიქტატურას ანხორციელებს, არის საქმით დიქტატურის უარყოფა.

კომინტერნის პოლიტიკა.

ამხანაგებო, იგივე დევდარიანი აყენებს კითხვას კომინტერნის მომავალ პოლიტიკის შესახებ. დიახ, ამბობს ის, დღემდის კომინტერნი აწარმოებდა რევოლიუციონურ პოლიტიკას, მაგრამ ეხლა, როცა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ცნობილია ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიერ, კომინტერნმა უნდა შეიცვალოს თავისი პოლიტიკა, უარი უნდა სთქვას სამოქალაქო ომის წარმოებაზე დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებში. ამას მოითხოვენ ის სახელმწიფოები, რომლებმაც ჩვენ გვიცნეს.

არა, ძალიან სცდება სეით დევდარიანი.

კომინტერნი ერთგული რჩება ლენინიზმისადმი ყოველგვარ პირობებში, მომავალშიაც აწარმოებს მუშაობას, პროპაგანდას, აგიტაციას და „პროლეტარიატის ძალების დარაზმვას, კაპიტალისტურ მთავრობების წინააღმდეგ გასალაშქრებლად, ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და პოლიტიკური ძალა-უფლებისათვის და სოციალიზმის გამარჯვებისათვის“ სამოქალაქო ომის საწარმოებლად. ვინც იცნობს ბოლშევიზმის ისტორიას, ამაში ეჭვი არავის შეეპარება. იმათ, ვისაც ეჭვი ეპარებათ, წინადადებას ვაძლევთ გაეცნონ კომინტერნის მოღვაწეობას შარშანდელი წლის შემოდგომაზე და გერმანიის კრიზისის დღეებში. კომინტერნი მიუხედავად ყოველგვარ გარემოებათა, გაბედულად და მტკიცეთ იდგა გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციის სადარაჯოზე და თუ იგი გამარჯვებით არ დამთავრდა, ეს მოხდა მე-2 ინტერნაციონალის—გერმანელ მენშევიკების ღალატის წყალობით. ზედმეტად არ მიმაჩნია მოვიყვანო შემდეგი სტრიქონები ამხ. ზინოვიევის წერილიდან:*) „ევროპის რევოლიუცია გადაიქცევა მსოფლიო რევოლიუციად იმისდა მიხედვით, თუ როგორ ამოძრავდებიან ას მილიონიანი მასები აღმოსავლეთში—მსოფლიო რევოლიუციის ამ მთავარ რეზერვში. რამდენადაც ერთსა და იმავე დროს რევოლიუცია გზას იკაფავს ევროპის ცენტრისაკენ და აღმოსავლეთისაკენ, კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებისაკენ, იმდენად პროლეტარული რევოლიუცია მიზანში იღებს უწინარეს ყოვლისა ინგლისის იმპერიალიზმს რომლის სიძლიერე საფუძვლით დამყარებულია კოლონიების და ნახევრად კოლონიების ჩაგვრაზე. როცა რევოლიუციონურ სულისკვეთებით იმსჭვალება ინგლისის მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი, როცა იგი დადგება კომუნისტების დროშის ქვეშ, როცა ეს მოძრაობა შეუერთდება აღმოსავლეთის ჩაგრულ ერთა ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას, მაშინ გაიმარჯვებს პროლეტარული რევოლიუცია ინგლისში და მთელ ევროპაში“.

კომუნისტური ინტერნაციონალი ვალდებულია იმუშაოს ამისათვის, იმუშაოს შეუჩერებლად. დეე, ნუ განრისხდება ბალდუინი. არ არის არავითარი საბუთი იმისა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცნობა ბურჟუაზიული სახელმწიფოების მხრივ შესცვლის კომინტერნის რევოლიუციონურ პოლიტიკას. მზადება ამ ამოცანებისათვის—მომზადება პროლეტარიატის მომზადება ჩვენი ახალგაზრდობის—ჩვენი მომავლის, აღმოსავლეთის ჩაგრულ ერების ასეულ მილიონების დარაზმვა და ამხედრება დიად ბრძოლისათვის ძველი მსოფლიოს წინააღმდეგ და ახალი კაცობრიობის შესაქმნელად,—აი კომინტერნის ამოცანები, რომელთაც ის ასრულებს და გადაუხრელად შეასრულებს მომავალშიაც.

რეზოლიუცია

მოხსენების შესახებ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

10 მარტს, ამხ. ლენინის სახელობის სახელმწიფო საოპერო თეატრში შესდგა ახალგაზრდათა კომკავშირის საერთო საქალაქო კრება, რომელზედაც კომინტერნის ხუთი წლის არსებობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. სერგო ორჯონიკიძემ.

მოხსენების გამო მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება კომინტერნის შესახებ, საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის საერთო კრება აღნიშნავს:

კომინტერნი ხუთი წლის განმავლობაში წარმოებულ საშინელ ბრძოლის დროს, რომელიც მიმართული იყო მუშათა კლასის განთავისუფლებისაკენ, არა მარტო თავს იცავდა საერთაშორისო ბურჟუაზიის და ყვითელ გამყიდველების თავდასხმისაგან, არამედ მას ღირსეულად მიჰყავდა პროლეტარიატი განთავისუფლებისაკენ, ის იმავე დროს გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი იყო საერთაშორისო კომუნისტური რევოლიუციისათვის.

ხუთი წლიწადი მიდიოდა კომინტერნი მძიმე, მაგრამ სახელოვან გზაზე და ის თანდათან იქმნებოდა წითელ მებრძოლების ძლიერ ორგანიზაციად, ყველა დაჩაგრულების განმათავისუფლებელ და თეთრი ხროვის სიძულვილის ორგანოთ—რევოლიუციონურ შტაბათ.

საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის საერთო კრება, აღნიშნავს რა რომ უდიდეს როლს, რომელიც წილად ხვდა კომინტერნს, გამოუჩნდენ მტკიცე და ერთგული გამტარებლები და მებრძოლები, რომელნიც მტკიცეთ მიდიოდენ თავის დროშის ქვეშ მრავალ მილიონ პროლეტარების დარაზმვის გზაზე, მხურვალეთ ესალმება კომუნისტურ ინტერნაციონალს—ძვირფას ილიჩის სახელოვან შვილს.

ტფილისის კომკავშირელები კომინტერნის იუბილეს დღეს ღრმა სიყვარულის გრძნობით იგონებენ რუსეთის კომპარტიის ბელადს და ორგანიზატორს—ვლ. ილიჩს, რომლის სახელი განუყრელად დაკავშირებულია კომინტერნის ყველა გამარჯვებებთან. ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის საერთო კრება ფიქრობს, რომ საუკეთესო საჩუქარი კომინტერნისათვის მისი ხუთი წლის იუბილეს დღეს და მტკიცე ძეგლი ძვირფას ილიჩისათვის იქნება კომკავშირელების მტკიცე სიტყვა—ყოველის მხრივ ხელი შეუწყონ კომინტერნის მიერ დაწყებულ საქმეებს, ყოველთვის მზათ იყონ მისი ბრძანებებისათვის, არასოდეს და არაფერში არ დაივიწყონ დიდებულ მასწავლებლის ლენინის ანდერძი და ეცადონ ბეჯითი შრომით და სწავლით მოიხვეჭონ ლენინელის მაღალი სახელი.

ვსთვლით რა კომინტერნის იუბილეს მთელი რევოლიუციონური პროლეტარიატის და, განსაკუთრებით, ლენინგრადის მუშების იუბილეთ, ტფილისის კომკავშირლები ესალმებიან ლენინგრადის მუშებს, ლენინის საუკეთესო მოწაფეებს.

დეე იცოდენ კომინტერნმა და მისმა მტრებმა, რომ რევოლიუცია ყოველ წუთში იპოვის ჩვენში, კომკავშირელებში, მტკიცე, შეუდრეკელ მებრძოლებს.

დეე იცოდენ ჩვენმა მტრებმა რომ ჯერ კიდევ ცოცხალია და ყოველთვის ცოცხალი იქნება ჩვენში ლენინის სული, ბოლშევიზმის სული“.

კათალიკოს ამბროსის და მისი „ძმების“ გასამართლება

11 მარტის სხდომა

(მეორე დღე. გაგრძელება)

ამბროსის ჩვენება:

ოკუჯავა: ვისი ბძანება იყო საქართველოს მიწების სხვაზე გადაცემა, რომელზედაც თქვენ მემორანდუმში სწერდით.

ბრალდებული: იბნევა, გარკვეულ პასუხს ვერ იძლევა.

კითხვა: თქვენ გწამდათ, საბჭოთა მთავრობა? სცნობთ მას?

პასუხი: ვსცნობ... (პაუზის შემდეგ) უსათუოდ.

კითხვა: იცოდით თუ არა, რომ საბჭოთა რესპუბლიკებთან მტრული განწყობილება ჰქონდა ინგლისისა და სხვა ქვეყნების მთავრობებს?

პასუხი: ვიცოდი... გაზეთებიდან.

კითხვა: სუვერენობა ვინ წაართვა საქართველოს?

პასუხი: უცხო ჯარებმა.

კითხვა: ჰქონდა თუ არა თქვენ აქტს პოლიტიკური ხასიათი?

ბრალდებული: გარკვეულ პასუხს ვერ იძლევა, იბნევა.

დამცველი ნინიძე აცხადებს ბრალმდებლის უკანასკნელი კითხვის გამო პროტესტს, თითქოს იგი სცდილობდეს ჩასჭრას ბრალდებული.

თავმჯდომარე აცხადებს ნინიძის პროტესტის საპასუხოდ, რომ კითხვები ეძლევა ბრალდებულთ მხოლოდ საქმის გამოსარკვევად.

კითხვა: თქვენ ამბობთ, რომ ხართ ქართველი ხალხის სურვილების გამომხატველი, მშრომელი ხალხის წარმომადგენლებს აქვთ თუ არა ისეთი უფლებები, როგორიც თქვენ?

ბრალდებული: აქვთ.

კითხვა: მაშ, იცოდით თუ არა, რომ წითელი ჯარის შემოსვლას მოითხოვდენ ქართველი მუშები და გლეხები და მისი დამცველი პარტია—ქართველი კომუნისტები?

ბრალდებული: იბნევა. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ,—არ ვიცოდი. ბრალმდებლის შეკითხვაზე, რა საბუთებით და რა ცნობებით ხელმძღვანელობდა, როცა იგი მემორანდუმში სწერდა ქართველი ხალხის ფიზიკურად გადაშენების შესახებ, ბრალდებული ვერაფერს ამბობს და ბოლოს ყოყმანის შემდეგ აცხადებს, რომ დაწესებულებებში არ იყვნენ ქართველი მოხელეები და შემოღებული არ იყო ქართული ენაო.

ბრალდებულს კითხვას აძლევს საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამხანაგი ალექსანდრე ერქომაიშვილი

კითხვა: თქვენი სიტყვით მემორანდუმი თქვენი სურვილის წინააღმდეგ ძალაუნებურად ატარებს პოლიტიკურს ხასიათს, წითელი ჯარის გაყვანა განა პოლიტიკური მოთხოვნილება არ არის?

პასუხი: ბრალდებული ყოყმანობს,—ბოლოს,—მგონია, არის.

კითხვა: გერმანიის, ინგლისის და სხვა სახელმწიფოების ჯარიც ხომ იყო საქართველოში და მათი უფროსები ხომ ერეოდენ საქართ. შინაურ საქმეებში, რატომ მაშინ არ იცავდით საქართველოს სუვერენობას?

პასუხი: მე არაფერი გამიგია იმის შესახებ, რომ უცხოეთის ჯარის უფროსები ჩარეულიყვნენ საქ. საქმეებში. რომ მცოდნოდა, აუცილებლად ამოვიღებდი ხმას.

დარბაზში გაკვირვების ხმები და სიცილი.

შეკითხვაზე, თუ ვის გულისხმობდა გენუაში საქართველოს წარმომადგენლად—ჩხენკელს თუ ბუდუ მდივანს ბრალდებული უპასუხებს, რომ ჩხენკელს არ გულისხმობდა (საერთო გაკვირვება, სიცილი). შემდეგ სასამართლო გადადის განძეულობის გატაცების შესახებ დაკითხვაზე.

კათალიკოსი აცხადებს, რომ მან განძეულობის დაფარვის შესახებ არა იცოდა რა, რადგან იგი იმ ხანად აფხაზეთში იყო მღვდელმთავრად. შეკითხვაზე, თუ როგორ მოხდა შემდეგ, როცა ის კათალიკოსად დაინიშნა, რატომ არ დაინტერესდა გამოერკვია განძეულობის ბედი, ბრალდებული უპასუხებს, რომ იგი დარწმუნებული იყო, რომ განძეულობა წაღებული იყო საზღვარგარეთ.

კითხვა: როდის შეიტყვეთ, რომ განძეულობა ინახებოდა აქ, საქართველოში.

პასუხი: როცა იგი აღმოაჩინეს, გავიგე არქიმანდრიტ ჯაფარიძისაგან.

ბრალმდებელი: როგორც ვიცით იმ ხანში თქვენ დაპატიმრებული იყავით და აკრძალული გქონდათ გარეშე პირებთან ურთიერთობა; როგორ მოხდა რომ არქიმანდრიტმა ჯაფარიძემ საჭიროდ სცნო და შესძლო კიდეც შეეტყობინებინა კიდეც ასეთ განსაკუთრებულ პირობებში იმ განძეულობის აღმოჩენის შესახებ, რომლის გადამალვის შესახებ თქვენ არაფერი იცოდით?

ბრალდებული: არქიმანდრიტი ჯაფარიძე მოვალე იყო ეცნობებია ამის შესახებ ეკლესიის მეთაურისათვის.

კითხვა: განა მანამდე, ვიდრე განძეულობას არ აღმოაჩენდენ, არქ. ჯაფარიძე მოვალე არ იყო ეუწყებია თქვენთვის, ეკლესიის მეთაურისათვის ასეთ დიდი მნიშვნელოვან საქმის განძეულობის შენახვის შესახებ?

ბრალდებული: ამ კითხვაზე ვერ აძლევს პასუხს. საზოგადოთ მრავალი კითხვა კათალიკოს ამბროსისაგან რჩება უპასუხოთ. ზოგს კითხვაზე პასუხის გაცემას საჭიროდ არ სცნობს, ზოგი გარემოება არ ახსოვს და ზოგს საკითხებში თითქოს ვერ ერკვევა.

ანდრია ლეჟავას (მიტროპოლიტი ნაზარი) ჩვენება.

თავმჯდომარე: იცოდით თუ არა თქვენ რამე მემორანდუმის გაგზავნის შესახებ?

ბრალდებული: მემორანდუმის შესახებ ჩემთვის არავის არაფერი არ უთქვამს (გამომწვევი კილოთი).

თავმჯდომარე: რა აზრის ხართ თქვენ მემორანდუმზე?

ბრალდებული: ამ კითხვაზე არ სურს უპასუხოს.

თავმჯდომარე: ვინ გაგაგებიათ განძეულობის გადამალვა?

ბრალდებული: განძეულობის დაფარვა საიდუმლოდ გამანდო პატრიარქმა ლეონიდმა, რომელმაც დამავალა მის შესახებ არავისთვის არაფერი მეთქვა. მისგანვე გავიგე, რომ შენახვა ევალებოდა არქიმანდრიტ პავლეს.

თავმჯდომარე: ვისთვის ინახებოდა განძეულობა?

ბრალდებული: იგი ინახებოდა ეკლესიისა და ერისათვის.

თავმჯდომარე: თუ განძეულობას ერისათვის ინახავდით, რატომ არ განუცხადეთ ამის შესახებ ხელისუფლებას?

ბრალდებული: საეკლესიო ქონების შენახვა და პატრონობა იმ თავითვე სამღვდელოების საქმე იყო. და ვალდებულიც არ ვიყავი, ვიდრე დეკრეტი არ გამოიცემოდა, გადამალული ქონების შესახებ მთავრობისათვის მეცნობებია, მით უმეტეს, რომ მე განძეულობა მეგულებოდა შენახული საიმედო ადგილზე. ქონების ეკლესიაში დატოვება საერთო არევ-დარევის დროს საშიში იყო, რადგან ასეთ ხანაში ხშირი იყო ძარცვა-რბევა, რასაც შეიძლება შედეგად განძეულობის დაკარგვა მოჰყოლოდა.

წიგწიგაძე: როცა მშვიდობიანობა ჩამოვარდა და ხელისუფლება განმტკიცდა, მაშინ რათ არ ამოიღეთ მიწიდან დამარხული განძეულობა და არ გადაეცით მთავრობას?

ბრალდებული: არ ამოვიღეთ იმ მოსაზრებით, რომ მოველოდით მთავრობის მიერ დეკრეტის გამოცემას, რომელშიაც კონკრეტულად მითითებული იქნებოდა ქონების ჩაბარების წესი. ჩვენ ვფიქრობდით, რომ მთავრობა გამოგვიგზავნიდა კომისიას, რომელსაც ჩვენ გადავაბარებდით ქონებას.

პ. ჯაფარიძის (არქიმანდრიტ პავლეს) ჩვენება.

მიტროპოლიტ ნაზარის შემდეგ სასამართლო ჩვენებას ართმევს არქიმ. პავლე ჯაფარიძეს, რომელსაც ჰბრალდება სიონისა და მცხეთის განძეულობის გატაცება და გადამალვა.

სასამართლოს თავმჯდომარე: ვინ დაგავალათ თქვენ განძეულობის შენახვა?

ბრალდებული ჯაფარიძე: განძეულობის შენახვა დამავალა კათალიკოსმა ლეონიდმა. მე, როგორც ბერობაში აღზრდილს და სამონასტრო წესების მტკიცედ აღმასრულებელს, არ შემეძლო ეკლესიის თავის ბრძანებაზე უარი განმეცხადებინა. კათალიკოსმავე მიბძანა, რომ განძეულობის დამალვა არ გამეხმაურებია და თუ ვინმე მკითხავდა რასმე, მეთქვა რომ იგი საზღვარ-გარეთ არის გაგზავნილი.

ბრალმდებელი: მაგრამ ეს ხომ ტყუილის თქმაა, რომელიც სასულიერო პირს არ შეშვენის.



არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე

ბრალდებული: ტყუილის თქმაც არის და ტყუილის თქმაც. ღმერთის განრისხება იმდენად არაფერია, ღმერთი მრავალმოწყალეა.

კითხვა: როგორ ჰფიქრობთ, ტყუილის თქმა ღვთის წინააღმდეგია?

პასუხი: წინააღმდეგიც არის და არც არის წინააღმდეგი (სიცილი დარბაზში) იმის მიხედვით, თუ რას შეეხება ტყუილი. ზოგ შემთხვევაში ტყუილის თქმა შესაწყნარებელია. ჩვენ საშუალება გვაქვს ჩვენი ცოდვა, ტყუილის თქმა საიდუმლო აღსარების დროს მოვინანიოთ.

მემორანდუმის შესახებ არქ. ჯაფარიძე აცხადებს, თითქოს მას არაფერი არ სცოდნია, რადგან მონასტერში სცხოვრობდა და პოლიტიკაში არ ერეოდა. საერთოდ ჯაფარიძეს თავი უჭირავს, როგორც „გულუბრყვილოს“ და ცხოვრების „უცოდინარ“ ბერს, რომელიც თითქოს სრულიად ვერ ერკვევა საზოგადოებრივ და პოლიტიკურს მოვლენებში.

ბრალმდებელი: აძლევს მას შეკითხვას, გაუგონია თუ არა მას ოდესმე, რომ მღვდლები ეწეოდენ ფუქსავატ ცხოვრებას და სჩადიოდენ ბოროტ-მოქმედებას. ამ შეკითხვაზე ბრალდებული უპასუხებს, რომ მას გაუგონია ასეთი შემთხვევები.

არქ. ჯაფარიძის დაკითხვის შემდეგ სხდომა სწყდება.

უძღვნი ნაძალადევს

(სამღვდელოების გასამართლების გამო)

ბედნიერი ხარ, ნაძალადევო,
მრავალი ამბის მოწამე ხდები,
რევოლიუციის აღმზრდელო, მცველო,
თავისუფლებით ხარობ და სტკბები!

შენ ხარ სავანე მშრომელი ხალხის,
ჭეშმარიტების მაძიებელთა,
შენშივე ხდება გასამართლება
მატყუარათა, ხალხის მყვლეფელთა!

აქ მოსამართლედ მუშები სხედან,
აღჭურვილები ხალხის ნდობითა.
გასამართლებას ესწრება ხალხი,
აღსავსე არის ზიზღით, გმობითა.

აქ ზის ავტორიც მემორანდუმის,
გენუის კრების შემვედრებელი,
რომ „კრება“ ერთხმად დახმარებოდა
და „წამებისგან დაეხსნა ერი“...

რასა ფიქრობდა ამბროს, ღვთის მონა?
„დახმარება“ რით გათავდებოდა?
უცხოეთიდან მოსული ჯარი
რომ საბჭოთ ჯარებს შესტაკებოდა?!

ჩვენი სამშობლო და ჩვენი ხალხი
თუ მებრძოლთ შუა ამოწყდებოდა,
ნუ თუ კმაროდა კათალიკოსი,
თუ თვის ამალით გადარჩებოდა?

მხარსა უმშვენებს „მადლით მოსილსა“
სამღვდელოება-უზენაესი,
მთავარს თან ახლავს მთელი ამალა,
იმკიან, რაც რომ აქვთ დანათესი.

ესე არიან „სულის მამანი“
ბრალდებულების სკამზე მსხდომელნი,
მოღალატეთგან პასუხს მოითხოვს
დღეს ბრალმდებელი ხალხი მშრომელი.

მუშა მაქრო ნავთლუღელი

უძღვნი „წმინდა მამებს“ ამბროსს და სხვებს

„მემორანდუმის“ ავტორი,
იჯდა ამბროსი სვიანი,
გვერდს უმშვენებდნენ ნაზარი
და პავლე შავ-წვერიანი.

სამსჯავროს წინა ბრძანდება
კათალიკოსის ამალა,
ყველანი „გმირთა-გმირები“,
ვინც ერის განძი დამალა.

თურმე ყველაფერის დამალვა
საიდუმლოთა ხდებოდა,
სულის-მამების პირისგან
არსად არ გამჟღავნდებოდა.

ბრწყინვალე „წმინდა-მამებსა“
ბნელეთის მოციქულებსა,
ედავებიან მშრომელნი
განძეულს დამალულებსა.

„წმინდა-მამებსა“ იცავენ
ვექილნი, გაწაფულები,
„ნათესავთ“ „ნათესავთათვის“
ძალიან სტკივათ გულები.

მაგრამ მშრომელთა სამსჯავრო
ღირსეულს დასდებს მათ მსჯავრსა,
ენა მოქნილი შელები
ვერ აგვიხვევენ ჩვენ თვალსა.

მუშა ხარატი.

12 მარტის სხდომა

(მესამე დღე)

სხდომა იწყება დღის 1 საათზე და 20 წუთზე.

დამცველებში ნერვიულობაა.

კირილე ნინიძე: დამცველთა სახელით აცხადებს, რომ პირველ დღეს დამცველთა მუშაობისთვის ნორმალური პირობები იყო, ეხლა კი როგორც დარბაზში, ისე მის გარეთ, კერძოთ პრესაში შეიქმნა ისეთი ატმოსფერო, რომ შეუძლებელი ხდება პროცესის ნორმალური მსვლელობა, საბჭოთა კანონმდებლობა კი ერთნაირ პირობებში აყენებს ორივე მხარეს.

თავმჯდომარე: შენიშნავს მოქ. ნინიძეს, რომ წესრიგი დაცულია დარბაზში და არავინ მათ ხელს არ უშლის საქმის წარმოებაში.

მოქ. ნინიძე ბოდიშს იხდის და ამბობს, რომ სასამართლოს დარბაზში წესრიგი დაცულია, მაგრამ მის გარეთ კი არა. პრესაში დამცველებს სინიდისით მოვაჭრეებს ეძახიან, დანაშაულს წინასწარ კვალიფიკაციას უშვრებიან როგორც, მაგალითად, გაზეთ „კომუნისტში“. იგი მოითხოვს სასამართლომ მიიღოს ზომები ამ მდგომარეობის წინააღმდეგ, უდგენს სასამართლოს წერილობით განცხადებას.

მოქ. კირილე ნინიძის საპასუხოდ სიტყვას ამბობს ამხ. ერქომაიშვილი, რომელიც აცხადებს, რომ დამცველნი სცდილობენ პროცესი აგიტაციით მასალათ გამოიყენონ. მშრომელი მასა ღელავს, რადგან ვერ წარმოუდგენია, რომ საბჭოთა წყობილების დროს სამღვდელოებას იცავდეს ის, ვინც გუშინ მარქსიზმის სახელით მის წინააღმდეგ იბრძოდა. ეს გარემოება იწვევს დამცველთა წარმომადგენლის ნინიძის ნერვებაშლილობას.

ოკუჯავა: დამცველთა გამოსვლა იმ ობსტრუქციის გაგრძელებაა, რომელიც მათ პირველ დღესვე დაიწყეს, როდესაც მოითხოვდენ გასამართლების გადადებას. მათ სურთ პროცესის ჩაფუშვა, რის ნებასაც ჩვენ მათ ვერ მივსცემთ.

სასამართლოს სხდომა სწყდება რამდენიმე წუთით.

სხდომის განახლება.

თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს დადგენილებას, რომლის მიხედვით დამცველთა განცხადება შეტანილი იქნება ოქმებში.

ბრალდებულ ლაზარიშვილის ჩვენება.

ბრალდებული ლაზარიშვილი აცხადებს, რომ მემორანდუმზე არაფერი არ იცის, რომ მას მისი პოლიტიკური შეფასება არ შეუძლია. კათალიკოს ლეონიდისაგან მას ნაბრძანები ჰქონდა ჩაებარებინა ნივთები არქ. ჯაფარიძისთვის ქუთაისში წასაღებად, რაც მის მიერ შესრულებულ იქნა. რა ბედი ეწია შემდეგ განძეულობას, მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. კითხვაზე—ეტყოდა თუ არა მთავრობას, რომ სცოდნოდა განძეულობის გადამალვა, ბრალდებული უპასუხებს, რომ არ იცის, როგორ მოიქცეოდა.

ბრალდებულ ტყემალაძის ჩვენება.

მე დავესწარი ყუთებში განძეულობის ჩალაგებას, თუმცა მე სამჯერ განვაცხადე უარი ნივთების გაგზავნაზე; განძეულობა გვქონდა შენახული სალაროში, ერთი ყუთი გასაღების აღმოუჩენლობის გამო გავსტეხეთ. როგორც საკათალიკოსო საბჭოს წევრი, დავესწარი საკათალიკოსო საბჭოს სხდომას [illegible] საუწყებათაშორისო კომისიისთვის გადაცემის შესახებ, ჩვენ ვერ გავიგეთ რას ნიშნავდა ჩაბარება, ან ვისთვის უნდა ჩაგვებარებინა. გადავსწყვიტეთ სხდომაზე, რომ ჩვენი ხელით ვერ დავანგრევდით ეკლესიას. თუმცა მთავრობის წინააღმდეგობის გაწევის სურვილი არ გვქონდა.

საკათალიკოსო საბჭოს სხდომაზე, რომელზედაც კათალიკოს ამბროსის გაგზავნილ მემორანდუმის შესახებ მოხსენება უნდა გაეკეთებია, მე გამოვაცხადე ქვორუმის უქონლობის გამო სხდომა არ შესდგა. წევრების მოსვლის მოლოდინში ამბროსიმ მითხრა, რომ გაგზავნა მემორანდუმი, რომელიც ჩასული უნდა იყოსო. იმ სხდომაზე რა კითხვები იყო გასარჩევი ან ჰქონდა თუ არა მემორანდუმის შესახებ მოხსენება ამბროსის,—ჩვენთვის არ უცნობებიათ. სხდომაზე მოსულ მესამე წევრის გვარი არ „ახსოვს“.

ბრალმდებელი: სერიოზულად სთვლიდით თქვენ ამბროსის ნაბიჯს თუ არა?

პასუხი: მე ვთვლიდი მემორანდუმის გაგზავნას პატრიოტულ საქმედ. მემორანდუმის გაგზავნის უფლება კათ. ამბროსის ჰქონდა, როგორც მღვდელმთავარს და არა, როგორც საბჭოს თავმჯდომარეს.

კითხვა: თქვენ თანაგრძნობით შეხვდით მემორანდუმს და სიმართლეთ მიგაჩნიათ თუ არა მემორანდუმში აღნიშნული ცნობები?

პასუხი: მე ვერ ვიტყვი მაგაზე ვერაფერს, რადგან პოლიტიკურად მომზადებული არა ვარ.

ბრალმდებელი: თქვენ წინასწარ გამოძიების დროს განაცხადეთ, რომ მემორანდუმს ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა.

ბრალდებული: მე ეს არ გამიცხადებია.

თავმჯდომარე: ბრალმდებელის თხოვნით კითხულობს წინასწარი გამოძიების ოქმს, სადაც ტყემალაძეს მიერ ნათქვამი შემდეგნაირად არის აღნიშნული: მე მემორანდუმს ვაძლევ პოლიტიკურ მნიშვნელობას, ამნაირი მემორანდუმის დაწერის უფლებას ქართველი ერის სახელით ამბროსის არ ჰქონდა.

თავმჯდომარე: თქვენ მიერ ნათქვამში, რომელი მიგაჩნიათ სწორად, ის, რაც დღეს სთქვით, თუ რაც წინასწარ გამოძიების დროს განაცხადეთ?

ბრალდებული: ახლა რომ ვამბობ, ის უფრო მართალია, მგონია: სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ

---

*) „პრავდა“ 29 თებერ. 1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკათოლიკოსო საბჭოს სხდომის რეზოლიუციის რედაქცია ბრალდებულს არ მიაჩნია სწორად, რადგან იქ სავსებით გამოხატული არ არის საბჭოს წევრთა აზრი, რომელიც თითქოს არ ეწინააღმდეგებოდა მთავრობის დადგენილებას.

ბრალდებული მირიანაშვილის ჩვენება.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, ბრალდებული აცხადებს, რომ მემორანდუმზე მისთვის არავის არაფერი უთქვამს.

ბრალმდებელი: აძლევს შეკითხვას, თუ რათ ინახებოდა ეკლესიის განჯინაში 30 გირვანქა განძეულობა.

პასუხი: ნივთები იყო შემოწირული ტაძრის ასაგებად.

კითხვა: რა დროს ტაძრის აგება იყო, როცა ხალხს შიოდა, პური ესაჭიროებოდა?

პასუხი: ხალხისთვის სულიერი საზრდოც საჭიროა. მე შემომწირველთა სურვილის წინააღმდეგ სხვა დანიშნულებას ვერ მოვახმარდი შემოწირულ ნივთებს

კითხვა: მემორანდუმმა მოუტანა თუ არა სარგებლობა სამღვდელოებას?

პასუხი: ამის შესახებ არ შემიძლია რაიმე გადაჭრით ვსთქვა ..

კითხვა: როგორ ჰფიქრობთ,—მემორანდუმის გაგზავნა უფრო დიდი საკითხია, თუ ცნობა მემორანდუმის გაგზავნის შესახებ.

პასუხი: არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი:

ბრალდებული კალისტრატე ცინცაძის ჩვენება.

ბრალდებული ცინცაძე აცხადებს, რომ იმ სხდომას, რომელზედაც ამბროსიმ რამოდენიმე პირს გააცნო მემორანდუმის შინაარსი, არ დასწრებია.

ბრალმდებელის შეკითხვაზე—რა ხასიათი ჰქონდა მემორანდუმს, ბრალდებული არ უპასუხებს.



დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე

კითხვა: რა აზრის არის სამღვდელოება საერთოდ მემორანდუმზე.

პასუხი: მათ შორის ასეთი კითხვა არ წამოჭრილა. პირადათ ვფიქრობ რომ მემორანდუმი რელიგიოზურ მიზანს ისახავს. სარგებლობა მოუტანა თუ არა მემორანდუმმა სამღვდელოებას, ამის თქმა ჩემთვის ძნელია.

კითხვა: ეკლესიის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტის ცხოვრებაში გატარება დააკმაყოფილებს თუ არა სამღვდელოებას.

პასუხი: აკმაყოფილებს სავსებით.

კითხვა: მაშ, რა საჭირო იყო რელიგიოზური მიზნით მემორანდუმით მიმართვა ევროპისადმი?

პასუხი: ამაზე ვერ გაგცემთ პასუხს.

ბრალდებულ თოთიბაძის ჩვენება.
(სამხედრო ტაძრის ყოფ. წინამძღვარი)

მემორანდუმის შესახებ თურმე მასაც მხოლოდ პრესაში წაუკითხავს; განძეულობის წაღების შესახებ „არა იცოდა-რა“; ამბობს, რომ წინააღმდეგობის გაწევა მთავრობისთვის არც მას, არც მის ამხანაგებს „არ ნდომიათ“. ეკლესიის კომკავშირისთვის გადაცემის განკარგულებას ემორჩილებოდენ, მაგრამ ეკლესიის დანგრევაში მონაწილეობას ვერ მიიღებდენ. დაკითხვიდან ირკვევა, რომ ამას მათგან არც არავინ მოითხოვდა. კომისიას, სადაც მათ „წარმომადგენლის წარგზავნაზე“ უარი განაცხადეს, მხოლოდ ნივთების აწერა უნდოდა; ლომი და ჩაქუჩი ეკლესიის დასანგრევად კომისიას არ ჰქონია, მაგრამ მათ მაინც შეუძლებლათ დაინახეს კომისიაში მუშაობა.



დეკანოზი ანტონ თოთიბაძე

ეკლესიის ყველა ნივთები სათანადოთ ჩაწერილი წიგნებში არ ყოფილა.

მუშების ხმა

13 მარტს საღამოს სხდომის გახსნის წინ აუარებელი ხალხი იყრის თავს ქუჩებში. უმთავრესად მუშები. ხალხში მოსჩანს სურათები ნინიძის და ბარათაშვილის, რომელთაც ზიზღს უცხადებს მთელი მასა. სხდომის დროს დარბაზში შემოდის დელეგაცია რკინის გზის მთავარ სახელოსნოს და სავაგონო პარკის მუშების, რომელთა წარმომადგენლები: აზრუმელაშვილი, ხებრიელაშვილი, ვარლამოვი და უმბრიევი მოითხოვენ დასჯილნი იქნან სასტიკად ბრალდებულნი, საქართველოში იმპერიალისტური ჯარების მომწვევნი, სისხლის ღვრის მქადაგებელნი, ამასთანავე ერთად ზიზღს უცხადებენ ნინიძეს და მის კამპანიას და მოითხოვენ მათ საბრალმდებლო სკამზე დასმას.

მეცნიერება და ტეხნიკა

საფრანგეთის საავიაციო მრეწველობა

1923 წელს საფრანგეთში მუშაობდა 30 ჰაეროპლანების დამამზადებელი ფაბრიკა და 11 ამ ჰაეროპლანებისათვის მოტორების დამამზადებელი ქარხანა. მთელი საავიაციო მრეწველობა მთავრობის უშუალო კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამ ქარხნებს მშვიდობიან დროში შეუძლიათ დაამზადონ 6000 ჰაეროპლანი, ომის დროს კი—12 ათასიდან 30.000 ჰაეროპლანამდი წელიწადში.

ავტომობილი თუ ორთქლმავალი

უკანასკნელ ხანებში დიდი კონკურენცია სწარმოებს ავტომობილსა და ორთქლმავალს შორის. საქმე იმაშია, რომ ორთქმავალი ძლიერ ბევრ სათბობ მასალას მოითხოვს და ამიტომ ბარგის გადასატანად (ამერიკაში) უკანასკნელ ხანებში უფრო და უფრო მეტად სარგებლობენ ავტომობილით.

საბჭოთა რესპუბლიკაში ეს ბრძოლა ჯერ შესამჩნევი არ არის, მაგრამ ამერიკაში, სადაც 1923 წ. 8 კაცზე ერთი ავტომობილი მოდის, ეს „ბრძოლა“ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება.

ამ „ბრძოლაში“ გამარჯვების სასწორი თანდათანობით ავტომობილის მხარეზე იხრება. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოიგონეს ორიგინალური საშუალება, რომლის წყალობით ავტომობილს სწრაფად შეუძლია გადაიდგას შოსე გზიდან რკინისგზაზე. ეს არის ე. წ. „მოტორაილერ“, ანუ საავტომობილო—სარკინისგზო გოგრები, რომლებიც ადვილად შეიძლება გაუკეთდეს ავტომობილს საჭიროების დროს.

ჩვეულებრივი გოგრების „მოტრაილერით“ შეცვლას მოითხოვს ორი მექანიკოსის მუშაობა რვანახევარი წუთის განმავლობაში.

ავტომობილის ასე სწრაფად „ორთქლმავლათ“ გადაქცევა, რასაკვირველია, უფრო გაუადვილებს ავტომობილს გამარჯვებას „ბებერ“—ორთქლმავალზე.

ქრონიკა

— **სამალარიო კურსები.** 25 მარტს, ჯანმრთელობის კომისარიატი ტროპიკულ ინსტიტუტთან ხსნის მალარიის შესასწავლ კურსებს ექიმებისათვის.

— **პროლეტარული კულტურის სახლი.** განათლების მთავარმა მმართველობამ შეადგინა კომისია სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლის სარეორგანიზაციოთ და პროლეტარულ კულტურის სახლის მოსაწყობათ.

— **ქართველ უდინთა საზოგადოება.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დაადგინა შუამდგომლობით მიმართოს ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს ქართველ უდინთა საზოგადოებისათვის აუცილებელ დახმარების გასაწევათ.

— **მზრუნველობა სვანეთის და დუშეთის მაზრებზე.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა გადასწყვიტა მიიღოს საჭირო ზომები სვანეთში და ფშავ ხევსურეთში გზების გაყვანის, ფ.-ტელეგრაფის, სკოლების და საავადმყოფოების მოსაწყობად.

— **საქ. უზენაეს სასამართლო.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დადგენილებით ამხ. კარტოზია დაინიშნა საქ. უზენაეს სასამართლოს პროკურორად.

— **გლეხკომების ფონდი.** ქუთაისის გლეხთა კომიტეტების ფონდში ჯერჯერობით შეგროვილია 22,566 ფ. სიმინდი, 5,835 ფ. ღვინო და ფულად 600 მან. ჩერ.

— **მედიკამენტების გაიაფება.** საქ. სახ. კომ. საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს სამკურნალო საგნებით სახელმწ. ვაჭრობის სამმართველოს, სამკურნალო საგნების გასაიაფებლად, მჭიდრო კავშირი დაიჭიროს სათანადო ორგანოებთან, მათი საშუალებით საზღვარგარეთ მედიკამენტების შესაძენად.

— **ჰაეროპლანით მიმოსვლა ტფილის-მანგლის შორის.** ა/კ. საავიაციო საზოგადოებამ გადასწყვიტა მომავალ ზაფხულს აგარაკ მანგლის და ტფილის შორის მოაწყოს ჰაეროპლანით მიმოსვლა.

— **სამკურნალო საგნებზე ბაჟის შემცირება.** საქ კომ. საბჭომ გადასწყვიტა შეამციროს სამკურნალო საგნებზე დადებული ბაჟი და აგრეთვე შეამციროს სოფ. აფთიაქებზე დადებული გადასახადი.

— **მუსულმანთა სკოლის აშენება** მუსულმანთა სკოლის აგება ტფილისში დაიწყება მარტის ბოლო რიცხვებში.

— **ჰაეროპლანებით ფრენის განახლება.** ა/კ. საავიაციო საზოგადოება ამ დღეებში განაახლებს ტფილისში ჰაეროპლანებით ფრენას გარეშე პირთათვის.

— **სამკურნალო საგნები სოფლის აფთიაქებს.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ სამკურნალო საგნებით სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დაავალა დაჩქარებით მიიღოს ზომები სოფლის აფთიაქების წამლეულობით უზრუნველსაყოფათ.

— **მოხსენება სანიტარიაზე.** შაბათს, 15 მარტს საღამოს 6 საათზე ქ. აღმასკომის დარბაზში შესდგება ქალაქის ჯანმრთელობის ყველა დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც ექიმი გ. რუსიშვილი ყორჩიბაში გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „სამკურნალო-სასანიტარო ორგანიზაცია ტფილისში“.

— **სოფლის ცრუ ექიმების წინააღმდეგ.** ჯანმრთელობის კომისარიატის სამკურნალო განყოფილებამ გადასწყვიტა მიიღოს გადაჭრილი ზომები სოფლად გავრცელებულ ცრუ—ექიმბაშების და მარჩიელების წინააღმდეგ.

— **პოლიტ-განათლების თვითმაჩვენებელი.** ახლო-ხანში პოლიტ-განათლების მთავარი მმართველობა სცემს პოლიტ-განათლების თვითმაჩვენებელ კრებულს.

— **კულტმუშაობა პროვინციებში.** პოლიტ-განათლების მმართველობამ დაადგინა მიიღოს სათანადო ზომები პროვინციებში ადგილობრივ კულტურულ განმანათლებელ მუშაობის გასაცხოველებლად.

— **ექიმთა საკონტროლო კომისია.** 1923 წ. განმავლობაში დამზღ. კასის საკონტროლო კომისიამ შეამოწმა 8,947 ავადმყოფი.

— **შრომის ბირჟა.** 11 მარტს, შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—846, ახლად ჩაეწერა—61, მოთხოვნილება იყო—47, გაიგზავნა სამუშაოზე—61.

შემთხვევები

ქურდობა. 10 მარტს, კიროჩნის ქ. № 16, მოქ. წინამძღვრიშვილის ბინიდან ქურდებმა მოიპარეს 35 ჩერვონეცის ნივთები. ქურდი ნიკოლოზ ვარლამოვი შეიპყრეს.

— 10 მარტს, ღამით ევანგულოვის ქ. № 2, გაქურდული იქნა მოქ. ცელაძეს ბინა, საიდანაც წაიღეს 100 ჩერ. მან. ნივთები.

— მაღაზიის გატეხვა, 9 მარტს, ღამით პლეხანოვის პრ. 81 გატეხილი იქნა მოქ. ზინოვი აიზენბერგის პარფიუმერიის მაღაზია, საიდანაც გატანილია ოთხასი ჩერვონეცი მანეთის საქონელი. ეჭვით დააპატიმრეს მეეზოვე სიმონ მანუკიანცი.

— ქალის გატაცება. რამოდენიმე დღის წინ სოფ. ნორჯიკეტში (ერწოს რაიონი) „აძების ბოგირთან“ ნიკო ბურდულს გაუტაცია თამარა გიგაური, რომლებსაც მეორე დღეს თავი გაუტარებიათ „მაჩის“ რეგისტრაციაში. ქალის მამის დაშინებით აღნიშნული თამარა გიგაური დაბრუნებულა სახლში. ბურდული შეიპყრეს.

ხელოვნება

დრამატიული სტუდიის საღამო.

10 მარტს, რუსთაველის თეატრში გამართული იყო მრავალფეროვანი საღამო სახელმწიფო დრამატიული სტუდიის სასარგებლოთ. ამ სტუდიას, როგორც ვიცით, ხელმძღვანელობს რეჟისორი აკაკი ფალავა.

ეს მდიდრული პროგრამით მოწყობილი საღამო ჩვენ გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც მასში მონაწილეობას იღებდენ თვით სტუდიელნი.

ფართო საზოგადოებამ პირველათ ნახა ნაყოფი იმ მუშაობისა, რომელიც ჩუმათ და გულმოდგინეთ მიმდინარეობს სტუდიელთა სკაში.

ეს საღამო არ იყო სრული გამოფენა ახალგაზრდა ძალების უნარის და მიღწევისა. მაგრამ ამ ნაწილობრივ გამომჟღავნებაშიც დავინახეთ ნამდვილი იმედები განახლებული თეატრისა.

სრულის ფრთაგაშლილობით ვიხილეთ სტუდიელთა პლასტიური მიღწევანი, როგორც ჟანრიული, აგრეთვე ბალეტურ ცეკვა-თამაშში.

აქ ჩვენ ვნახეთ არა მიმბაძველნი, არამედ ნამდვილი დახელოვნებული მოცეკვავენი—სულჩადგმული იდეით და გაცოცხლებული პლასტიური ხრახნილებით.

როგორც ჟანრიული ცეკვა—სანიმუშო იყო გოდარის „ბოჰემიები“.

აქ ვიხილეთ გახელებული ნიჭი ორი ქალიშვილის—მედეა ქორელისა და ი. თუთბერიძისა და ვაჟის—ბერიაშვილისა. სიყვარულის გიჟური ნახტომები და გრძნეულება, შურისძიების აფეხილი დაუნდობრობა და შფოთი—ყველაფერი აწყვეტილი სილამაზით დათარეშობდა სცენაზე ამ სამი მოცეკვავის სახით, ქორელი და თუთბერიძე—ეს ნუკრები ხელოვნებისა თვალწინ გვიხატავდენ ჟანრიულ თამაშის დიდოსტატს—ლიდი ჯონსონს.

შემდეგ სტუდიელ ქალთა მთელი შემადგენლობა გამოვიდა შოპენის „საუცხოვო ვალსში“. ცეკვის თვისება—ჰაეროვნობა და მოქნილობა—ყველას მშვენივრად შეუსისხლხორცებია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პირველი მოცეკვავე ქ. კედიას ასული.

ამას ზედ მოჰყვა „აფრიკული სიყვარული“ პროსპერ მერიმესი, თარგმანი აკაკი ფალავასი. დადგმაც—მისივე. ახალგაზრდული ტემპერამენტის სადემონსტრაციოთ და ნიჭის სხვადასხვა პოზიციებიდან შესატევად—ეს მოკვეთილი პიესა საუცხოვოდ იყო შერჩეული. აქ რეჟისორიც და მსახიობნიც სულით ხორცამდის გამსჭვალულან პიესის ატმოსფერით.

პირამიდული სიმკაცრე თავის გადაწყვეტილებაში, ვეფხვებრივი ნახტომები ქცევაში და რაინდული ჯაჭვებით შებოჭვა სულისა—ყველაფერი სახარის უდაბნოსავით მძლეთა და მისტიურათ იშლება მაყურებლის წინაშე. ამას შესანიშნავად ხელს უწყობდა სიცხის მგვრელი დეკორაციები აფრიკულის ფერადებისა.

მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფალავას დამჩნევია ცალმხრივი გატაცება ჯამბაზურის ფანდებით, რომელიც ნამდვილ მხატვრულ დადგმას არ ეგუება, მეტადრე ასეთის გადაჭარბებით.

სხვაფრივ ეს დიდებული დადგმა და თამაში სასახელოდ ჩაითვლება მის მონაწილე სტუდიელთათვის: ნინო დოლიძე, ვაჟები: პ. კობახიძე, ვ. გოძიაშვილი, ა. მერაბიშვილი და რეჟისორ აკაკი ფალავასთვის.

დეკლამაციაში გამოვიდა თემურის მონოლოგით პ. მურღულია.

როდენის კუნთებ დაჭიმული აზრიანი ქანდაკება სიცოცხლის ძლიერებით ქშინავდა ჩვენს წინაშე

მეორე დეკლამაციაში ხრისას მონოლოგით გამოვიდა ხათუნ ქეჩინაძე. თუ კი პირველის დეკლამაციით შეიძლება ალდო აელის ხელოვანს—ქეჩინაძეში მოსჩანს ნაზი და მგრძნობიერი მსახიობი.

საერთოდ სტუდიელებმა დასტოვეს ერთობ სასარბიელო შთაბეჭდილება. ეტყობა დიდი მხატვრული და ყოველმხრივი მუშაობა. ერთგული სიბეჯითე და კულტურული სიყვარული ხელოვნებისა.

იმედი ჩვენი თეატრის განახლებისა დიდრონი თვალებით იცქირება სტუდიელთა სახით და გულწრფელად ვესალმებით მათ მხატვრულ გამარჯვებას.

ლელი.

—

— **აღმოსავლეთის მუსიკის საღამო.** 16 მარტს სომეხ ხელოვანთა სასახლეში „აიარტუნში“ გაიმართება აღმოსავლეთის მუსიკის საღამო პიანისტ ო. ტერ-დავითიანის მონაწილეობით.

— **ზოია ლიდის სიმღერათა საღამო.** ზოია ლიდის სიმღერათა მეორე საღამო გაიმართება 16 მარტს კონსერვატორიაში.

— **„მეოცნებე ნიამორები“.** აპრილის პირველ რიცხვებში გამოვა „მეოცნებე ნიამორების“ მეორე ნომერი ვალ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით.

— **ახალი საბავშვო ჟურნალი.** საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ მაგივრად ამიერიდან გამოვა ახალი საბავშვო ჟურნალი: „წითელი სხივი“ გადიდებული ფორმატით.

— **ალ. ყაზბეგის მეორე ტომი.** მარტის ბოლო რიცხვებში გამოვა ალ. ყაზბეგის ნაწერების მეორე ტომი. წიგნს დართული ექნება სოფ. მგალობლიშვილის ვრცელი მოგონება ყაზბეგზე.

— **დახმარება ან. ერისთავ-ხოშტარიას.** სრ. საქ. ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტმა დაადგინა მწერალ ქალს ან. ერისთავ-ხოშტარიას 35 წლის იუბილეს გამო დახმარების სახით მისცეს 200 მან. ჩერ.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა.** „მადამ ბატერფლეი“.

— **რუსთაველის თეატრი.** თურქული წარმოდგენა.

— **სახალხო სახლი.** ქართული წარმოდგენა.

— **ცირკი.** რენოს ბენეფისი.

პროვინციაში

საშურო სოფელი მივიწყებულია

როგორც მკითხველებს მოეხსენება, ლითონის განყოფილებასთან არსებობს კომისია მუშურ-გლეხურ კავშირისა, რომელმაც აიღო შეფობა სოფელ „ოლგინსკოეზე“ „დიდ და პატარა ლილოზე“. აღნიშნული კომისია ნაყოფიერად მუშაობდა პირველ ხანებში 1923 წ. შემოდგომაზე. მას აქეთ გავიდა უკვე ნახევარი წელიწადი და საშეფო კომისიას სძინავს იმ დროს, როდესაც გლეხები მოუთმენლად მოელიან მუშების წარმომადგენლებს; სოფელი საჭიროებს სკოლის შეკეთებას, თეატრის აღდგენას, წყალსადენის მილების გაყვანას, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს და ბევრ სხვა რამეს. მელითონეთა საშეფო კომისიამ პირველ ხანებში მიაწოდა ჟურნალ-გაზეთები, ზოგიერთი მასალა თეატრისათვის და სოფლის საჭიროებისათვის. შეფმა უნდა გაუმართლოს ამ სოფლებს იმედები.

მელითონე.

სხვავის თემი (რაჭა)

ლენინის გარდაცვალების ორი კვირის თავზე სხვავის კომუჯრედის ინიციატივით ყოფილ ძელიცხოველის ეკლესიაში გაიმართა ლენინის ხსოვნის პატივსაცემი საღამო. კომუჯრედის მდივანმა ამხ. ა. მდივნიშვილმა გააცნო დამსწრე საზოგადოებას, თუ ვინ იყო ლენინი, რისთვის იბრძოდა და რა მოუტანა მისმა ბრძოლამ მუშათა კლასს. სიტყვის შემდეგ სხვავის მთლ. შრომის სკოლის მოწაფეთა მიერ შესრულებულ იქნა სამგლოვიარო ჰიმნი. აგრეთვე დადგმულ იქნა სხვავის სცენის მოყვარეთა მიერ პიესა „რევოლიუციის დემონი“ აპოთეოზით.

წარმოდგენის შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. სიმონ ქელიძე, რომელიც აღნიშნავს ეკლესიის უარყოფით და კლუბის დადებით მხარეებს; შემოაქვს წინადადება კომუჯრედის სახელით, რომ ამიერიდან ილიჩის ხსოვნის აღსანიშნავად, ეს ეკლესია გადაკეთებულ იქნას მუშათა კლუბად, რაც ერთხმად იქნა მიღებული.

ამავე კომუჯრედის ინიციატივით, ლენინის სახელობის მუშათა კლუბში გაასამართლეს „რელიგია და სამღვდელოება“. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, ხალხი ბლომად დაესწრო. ბრალმდებელი ა. მდივნიშვილი შეეხო რელიგიის და სამღვდელოების ისტორიულ განვითარებას, აღნიშნა მისი მუშათა კლასისადმი და მეცნიერებისადმი მტრული განწყობილება, მომხსენებელი ზედმეტ ბარგად სთვლის განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში ეკლესიის არსებობას და მოითხოვს სასამართლოსაგან შესაფერი განაჩენის გამოტანით, ზიზღი და კრულვა გამოეცხადოს რელიგიას და მის მსახურ სამღვდელოებას. დამცველის სიტყვის შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „ძირს რელიგია და სამღვდელოება, რომლებიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში გვევლინებოდენ ბურჟუაზიის იარაღად მუშათა კლასის დასამონებლად. გაუმარჯოს კომუნიზმს და ხალხში მეცნიერული სწავლის გავრცელებას“!

რაჭველი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოუცხადოთ მადლობა კავკასიის განსაკუთრებულ წითელდროშოვან ლაშქარს, რომელმაც შემოსწირა თავის საშეფო-საბავშვო სახლს: ნარმა თეთრი 1800 მეტრი. მაუდი ვიგონისა 330. აუდის საბნები 160. სატომარო ქსოვილი 900. სულ 2680 მან. ჩერვონ. ღირებულებისა, და ამას გარდა ფულად 3320 მან. ჩერვ.

საქართველოს განათლების სახ. კომისარიატის არასრულწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 9

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

ფართო მოხმარების საგანთა ფასის შემცირების თაობაზე შინაგ. ვაჭრობის კომისიის დადგენილების განხორციელებისათვის საკონტროლო ღონისძიებათა შესახებ მე 6 №-რით. გამოცემული დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 477 №-რით 1924 წლის იანვრის 15-ს თარიღით) დასამატებლად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს.

1. დაევალოს ყველა სავაჭრო საწარმოს (სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო), რომელიც ცალობრივ ვაჭრობას ეწევა, გამოფინოს ხოლმე მუშტარისთვის სანახავად თავის სავაჭრო სადგომში, თვალსაჩინო ადგილას, იმ გასაყიდ საქონლის ფასების პრეისკურანტი (საჩერვონეცო მანეთობითა და კაპიკობით), რაც შემდეგ ნუსხაშია აღნიშნული:

ფქვილი (ხორბლისა, ადგილობრივი და თეთრი. სიმინდისა) ყოველგვარი პური, სხვათა შორის მჭადი, ბრინჯი, მზესუმზირას ზეთი, ერბო, კარაქი, ყველი, რძე, კვერცხი, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, მარილი, საპონი, ასანთი, თევზეული (ლოქო, კობარი, კუტუმი, ტარანი) ხორცეული (ძროხისა, ცხვრისა, ღორისა); კარტოფილი, ლობიო, ჩითეული, ნარმა, კეროსინი.

შენიშვნა. ფასი თვით საქონელზედაც უნდა იყოს აღნიშნული.

2. რესპუბლიკათა შინა ვაჭრობის კომისიებს ნება ეძლევათ შეავსონ აღნიშნული სია ადგილობრივი პირობების მიხედვით.

3. საერთო მეთვალყურეობა და კონტროლი ამა დადგენილების ასრულებისათვის დაეკისროს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. და ცალკე რესპუბლიკების შინა ვაჭრობის კომიტეტებს.

4. ამა დადგენილებისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ და ცალკე რესპუბლიკების შინა ვაჭრობის კომისიების მიერ შინა ვაჭრობისა და მტკიცე ფასების შესახებ გამოცემულ წესებისა და დადგენილებათა ასრულებისათვის ადგილობრივ კონტროლის განსახორციელებლად—წინადადება მიეცეს ყველა აღმასრულებელ კომიტეტს დაუყოვნებლივ დააარსოს თავისთან განსაკუთრებული სამეთვალყურეო კომისია კომუნალური განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით, ხოლო წევრებად ამ კომისიაში იქნებიან პროფესიონალურ კავშირის და კოოპერაციის წარმომადგენლნი.

შენიშვნა 1. სოფლად კომისია დაარსდება სოფლის აღმასრულებელ კომიტეტთან ამ კომიტეტის თავმჯდომარისა და ადგილობრივი კოოპერაციის მომუშავეთა შემადგენლობით.

შენიშვნა 2. სამეთვალყურეო კომისიას ნება ეძლევა მიიწვიოს მიმდინარე მუშაობისათვის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები, ადგილობრივი კომიტეტები, უჯრედები და დაბალი საფეხურის კოოპერაციის სადუქნო კომისიები.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით, როგორც შინა ვაჭრობის წესების დამრღვევისათვის,

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომ. საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონ. საბჭ. საქმეთა მმართველი
ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი
სოკოლსკი

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის საალრიცხვო-საგამანაწილებლო განყოფილება წინადადებას აძლევს კომპარტიის ყველა წევრებსა და კანდიდატებს, რომლებმაც იციან ან მუშაობენ რემინგტონზე, გამოცხადდენ რეგისტრაციაზე განყოფილებაში 3 დღის განმავლობაში.

საალ.-საგანწ. განყ. მდივანი ბარსეგოვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სააგ. საპროპ. განყოფილება იწვევს ამხ. ბიჩიაშვილს დღეს 14 მარტს შუადღის 12 საათზე

ც. კ. სააგ. საპრ. განყ. გამგე

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის საალრიცხვო განმანაწ. განყოფილება სთხოვს ყველა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში დღიდან განცხადებისა გამოცხადდენ ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებში აღსარიცხავად. ისინი კი, რომლებიც იმყოფებიან ქ. ტფილისში უნდა, გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საალრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში: 1. აპრიდონიძე ილია გიორგის ძე, 2. აბაშიძე ივანე კარიბოვის ძე, 3. ბერძენიშვილი მარიამ ევსტაფის ასული, 4. ბეშკენაძე ნიკოლოზ ზაქარიას ძე, 5. ბერულაშვილი ივანე სიმონის ძე, 6. ბიჩიკაშვილი ალექსანდრე, 7. ბიჩიკაშვილი ივანე, 8. ბიჩიკაშვილი ზაქარია ბორჩოევის ძე, 9. ბრეგაძე სამსონ კონსტანტინეს ძე, 10. ბედულაძე კონსტანტინე ილიას ძე, 11. გოგიშვილი სამსონ ფირანის ძე, 12. გონგაძე არჩილ სოლომონის ძე, 13. გოზალაშვილი ბასილ გიორგის ძე, 14. გოზალაშვილი ფილიმონ გიორგის ძე 15. ღვინიაშვილი გიორგი მარკოზის ძე, 16. გელაშვილი სილიბისტრო კონსტანტინეს ძე, 17. ჯალაღანია პეტრე კონსტ. ძე, 18. ჯაბაშვილი აბრამ იოსების ძე, 19. დემეტრაშვილი ვასო სიმონის ძე, 20. ესიაშვილი ივანე გიორგის ძე, 21. ზომლოტოვი იაკორ ტიხონის ძე, 22. შაგარიანი ასია, 23. ზურებია ისააკი, 24. კუზნეცოვი პეტრე ნიკოლოზის ძე, 25. კატალევსკი ნიკოლოზ, 26. კიბლერი ვლადიმერ ემანუილის ძე, 27. კულიევი ვასილ, 28. მენაბდე ბაგრატ ტიმოთეს ძე, 29. მამამთავრიშვილი ალექსანდრე ლევანის ძე, 30. მიქელაძე სერაპიონ ზაქარიას ძე, 31. მარგიშვილი ვლადიმერ მიხეილის ძე, 32. მირიანაშვილი ნიკოლოზ ილიას ძე, 33. ნადირაძე იოსებ სპირიდონის ძე, 34. ნაცვლიშვილი ილია ივანეს ძე, 35. ობუხოვი-ბეზსმერტნი მინხეილ პავლეს ძე 36. ოკიაშვილი ილია საბას ძე, 37. პარლალაძე ივანე გიორგის ძე, 38. პაჩულია ესტატე გიორგის ძე, 39. პილიევი ასლან გრიგორის ძე, 40 კოსარიშვილი გიორგი, 41. სურმავა სერგო, 42. სულუხია გიორგი გიორგის ძე, 43. სურმავა ლეონტი, 44. ტაქტიკაშვილი პავლე სოლომონის ძე, 46. თოდრია ილია ილარიონის ძე, 46. ხორაული ივანე ეჯიბის ძე, 67. ხოხნელიძე ივანე არსენის ძე, 48. სეიმიტაძე ნიკოლოზ სოლომონის ძე, 49. პაატაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე, 50. ხაჩატუროვი ბაგრატ სარქისის ძე, 51. მელაძე პავლე გიორგის ძე.

ცეკის საალრიცხვო განმანაწილებელ განყ. გამგე ა. ლიცინოვი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი პოლიტ-წრეების შემძღოლებელ სკოლებში სამეცადინოთ იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

არსენალის რაიონისათვის კახიანი, ლომინაძე, მარიამ ორახელაშვილი, კონსტანტინე კიკნაძე, არჩილ მიქაძე, ალ. შავერდოვი, ქაჯარავა, იოვიძე, გოთუელაძე, არუსტანოვი რახმან, ფრანგულიანი, ჯარმარდარიანი. ქალაქის რაიონისათვის: ვირაპი, ბრომბერგ, ჩუსეინოვი, მოგილევსკი, ამირაგოვი, პიასეცკი, ჩოლოყაშვილი, [illegible], [illegible].

ყველა აღნიშნული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ სათანადო რაიკომებში სამი დღის განმავლობაში.

ტფილისის-კომიტეტის მდივანი [illegible]
ტფ. კომიტეტის [illegible] განყ. გამგე [illegible]

შაბათს, 15 მარტს, საღამოს 7 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში ამხ. შ. ელიავა გააკეთებს მოხსენებას „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და პერსპექტივები“.

მოხსენების შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კლუბის გამგეობა.

განცხადებები

ვ. ი. ლენინის სახელობ.
საოპერო თეატრი

დღეს, პარასკევს 14 მარტს
პრემიერა
ქ-ნი ბატერფლეი
კვირას, 16 მარტს
ლაკმე

კრ. 950 5—3

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო
ამით აცხადებს, რომ 1924 წ. 27 მარტისათვის დანიშნულია
შეჯიბრება

მთავარი არხის მე-3-ე უბნის № 27 პალ. № 30+25 პალობამდე მიწისა და კლდის სამუშაოს ნაჭრად გაცემის შესახებ დაახლოვებით 4500 კუბ. საჟ. პირველისა და 700 კუბ. საჟ. მეორისა.

მთელი სამუშაოს შესრულების ვადა 4 თვე.

იმ პირთ, რომელთაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, შემოაქვთ ამის შესახებ განცხადება დაწესებულ ბლანკზე სათანადო საღერბო მარკებით დახურულ კონვერტში—წარწერით: „ზაჰესის“ სამუშაოთა უფროს 1924 წ. 27 მარტს დანიშნულ შეჯიბრებისათვის, რომელ რიცხვში მოხდება კონვერტების გახსნა. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა საწინდარის წარმოდგენა განცხადებულ ფასის 5 პროც. რაოდენობით, რომელი საწინდარიც მისაღებ თანხიდან თანდათანობით გამოკლებით გადიდებულ იქნება 10 პროც.-მდე. საწინდარის წინასწარ შემოტანისაგან თავისუფალი არიან სახელმწიფო ორგანოები და რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები, რომელთათვისაც საწინდარი განცხადებულ ფასიდან 10 პროც. რაოდენობით ხვედრი თანხებიდან თანდათანობით შესდგება. დაწვრილებითი ცნობის მიღება შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე დღის 10—2 საათამდე (ქ. ტფილისი, ლადო დუმბაძის ქ. № 3, ყოფილ ველიამინოვის). იქვე გაიცემა სათანადო თეთრი ნიმუშები განცხადებისათვის.

954—3—2 ზაჰესის სამუშაოთა უფროსი ინჟინერი: ჭიჭინაძე.

ქუთაისი
ფილიპოვის სავაჭრო
(აკაკი წერეთლის ქუჩაზე)
მიღებულია ელექტრონით განათებელი ყოველგვარი
მასალები გერმანიის ეკონომიური ლამპოჩკები
და იაფად ძლიერ ხელმისაწვდომ ფასებში
იგივე სავაჭრო ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას ელექტრონის მასალის და მანქანებისას სწრაფი ჩაბარებით.
კრ. 920 15—8 პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელ. სადგურის
სამუშაოთა სამმართველო ამით აცხადებს, რომ 1924 წ. 2
მარტისათვის დანიშნულია
შეჯიბრება

ხრეშისა და ხილის ნაჭრათ დადგმაზე რაოდენობით: პირველის 1600 კუბ. საჟ. და მეორესი—850 კუბ. საჟ. დამუშავების ადგილს ირჩევს თვით მენარდე, დადგმის ადგილი არის ზაჰესის ვიწრო ლიანდაგის ხაზი ტეხნიკ ზედამხედველობის ჩვენებით. მთელი დადგმის შესრულების ვადა 6 თვე. იმ პირთ, რომელთაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, შემოაქვთ ამის შესახებ განცხადება დაწესებულ თეთრა-ნიმუშზე (ბლანკზე) სათანადო საღერბო მარკებით დახურულ კონვერტში—წარწერით: „ზაჰესის“ სამუშაოთა უფროსს 1924 წ. 20 მარტს დანიშნულ შეჯიბრებისათვის“, რომელ რიცხვში მოხდება კონვერტის გახსნა. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა საწინდრის წარმოდგენა განცხადებულ ფასის 5 პრ რაოდენობით, რომელი საწინდარიც მისაღებ თანხებიდან თანდათანობი გამოკლებით გადიდებული იქნება 10 პროცენტამდე. საწინდარის წინასწარ შემოტანისაგან თავისუფალი არიან სახელმწიფო ორგანოები და რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები, რომელთათვისაც საწინდარი განცხადებულ ფასიდან 10 პროც.-ს რაოდენობით ხვედრ თანხებიდან თანდათანობით გამოკლებით შესდგება. ხელსაწყოები და ცხავები (грохоты) გაცემული იქნება ზაჰესის მიერ უფასოდ. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე დღის 10— საათამდე (ქ. ტფილისი, ლადო დუმბაძის ქ. № 3, ყოფილი ველიამინოვის). იქვე გაიცემა სათანადო თეთრა-ნიმუშები განცხადებისათვის.

ზაჰესის სამუშაოთა უფროსის თანაშემწე, ინჟინერი
ნ. № 946 3—2 ა. მელიქ-ფაშაევი.

ქ. ტფილისის მე-11 უბნის სახალხო სასამართლომ
20 თებერვალს ა. წ. გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილ რომლითაც მოქ. ელისაბედ სტეფანის ასულ ქსოვრელისას უნდა გადახდ არუთინა ადამაშვილის სასარგებლოთ 490 მან. ჩერვონცებისა გირავნობ სიგელითა და 49 მან. სასამართლოს და საქმის საწარმოვო ხარჯები.

აცხადებს რა ამას, სასამართლო აცნობებს მოპასუხე ქსოვრელისა რომ მას, ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდან, აქვს უფლება ორ კვირ განმავლობაში გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება საკასაციო წესით, წინ აღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება ეს შევა კანონიერ ძალაში.

671—1—1 სახალხო მოსამართლე: კაპანაძე.

წინადადება ეძლევა მოქ. ვიქტორ ვარლამის ძე ხარაბ ძეს, რათა მან გაასწოროს თავისი ანგარ შები ქალ. ქუთ. მინა ტყაბლაძის მაღაზიის, ან ტფილისის ბეჭდვით ექსპ დიციაში ან აქვე ქუთაისში ერთი კვირის ვადაში დღიდან გამოცხადები ამას გარდა გაუქმებულად ითვლება მისი პირადი მანდატი, რომელიც არ ჩემს მიერ მიცემული.

სახ. გამომც. „ზარია ვოსტოკა“-სი, ბეჭდვითი ექსპედიციის გან „მუშას“ კონტრაგენტი ზ. ტყაბლაძე. 932—3—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 3.862; 1920 წლს. მირო ოშაყმაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 666—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა პატარა ონის თემის (რაჭის მ რა) აღმასკომის მიერ მოცემული პასია ბიქტორის ა ლის სვანიძეს სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 669—1—1

დაიკარგა სატყეო კურსების დამთავრების მოწმობა № 113 დიმიტრი კ. უჩანგიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 670—1—1

სახელმწიფო კინო-მრეწველობა
თეატრები „არფასტო“ და „აპოლო“
სამშაბათიდან, 11 მარტიდან
ორ კინო-თეატრში ერთსადაიმავე დროს

„მამის მკვლელი“
(სამარცხვინო ბოძზე).
დადგმა და სცენარი ნაზაროვის. ყაზბეგის რომანი. ოპერატორი ზაბოზლაევი.

მთავარ როლებში:
ნუნუ—ანდრონიკაშვილი—ვაჩნაძისა.
იაგო—სარაჯიშვილი.
კობა—ანდრონიკაშვილი.
გრიგოლა—ვასაძე.
4—4

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, ხაშ წულუკიძის ქუჩა № 6